საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 55 (9523) | პარასკევი, 6 მარტი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

## პარტიის ყველა წევრს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უდიდესი მწუხარების გრძნობით აუწყებენ პარტიას და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს, რომ 5 მარტს საღამოს 9 საათსა და 50 წუთზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

შეწყდა ლენინის თანამებრძოლის და მისი საქმის გენიალური განმგრძობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადის და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გულისცემა.

სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი პარტიისათვის, საბჭოთა ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შექმნა კომუნისტების მძლავრი პარტია, აღზარდა და გამოაწრთო იგი; ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი. განაგრძობდა რა ლენინის უკვდავ საქმეს, ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხი მიიყვანა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. ამხანაგმა სტალინმა მეორე მსოფლიო ომში ჩვენი ქვეყანა მიიყვანა ფაშიზმზე გამარჯვებამდე, რამაც ძირეულად შეცვალა მთელი საერთაშორისო ვითარება. ამხანაგმა სტალინმა შეაიარაღა პარტია და მთელი ხალხი სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის დიადი და ნათელი პროგრამით.

გარდაცვალება ამხანაგ სტალინისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა კომუნიზმის დიადი საქმისადმი თავდადებულ სამსახურს, უმძიმესი დანაკლისია პარტიისათვის, საბჭოთა ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

ცნობა ამხანაგ სტალინის გარდაცვალების შესახებ ღრმა მწუხარებას გამოიწვევს ჩვენი სამშობლოს მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენტთა და ყველა მშრომელის გულში, ჩვენი ძლევამოსილი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომართა გულში, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით მშრომელთა გულში.

ამ გლოვის დღეებში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება დიად ძმურ ოჯახში ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხალხი უსაზღვრო ნდობით ეკიდება და მხურვალე სიყვარულით არის გამსჭვალული თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რადგან იცის, რომ პარტიის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია ხალხის ინტერესებისადმი სამსახური.

მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენტები, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელნი განუხრელად მისდევენ ჩვენი პარტიის პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს და რომლის მიზანია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება. კომუნისტური პარტიის ამ პოლიტიკის სისწორე შემოწმებულია ათეული წლების ბრძოლით, მან საბჭოთა ქვეყნის მშრომელებისათვის უზრუნველყო სოციალიზმის ისტორიული გამარჯვებანი. ამ პოლიტიკით შთაგონებული საბჭოთა კავშირის ხალხები პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდიან წინ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა იციან, რომ მოსახლეობის ყველა ფენის — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენტების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

საბჭოთა ხალხმა იცის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა და ძლიერება იზრდება და მტკიცდება, რომ პარტია ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს საბჭოთა არმიას, სამხედრო-საზღვაო ფლოტს და დაზვერვის ორგანოებს, რათა განუწყვეტლივ ვამაღლოთ ჩვენი მზადყოფნა იმისათვის, რომ გამანადგურებელი პასუხი გავცეთ ყოველ აგრესორს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის საგარეო პოლიტიკა იყო და არის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევი პოლიტიკა, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირის ხალხები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ერთგულნი, განამტკიცებენ და ავითარებენ ძმურ მეგობრობას დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან, მეგობრულ კავშირს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებთან, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის დიადი წარმმართველი, ხელმძღვანელი ძალაა ჩვენი კომუნისტური პარტია. პარტიის რიგების ფოლადისებრი ერთიანობა და მონოლითური დარაზმულობა მისი ძალისა და ძლიერების მთავარი პირობაა. ჩვენი ამოცანაა თვალისჩინივით დავიცვათ პარტიის ერთიანობა, აღვზარდოთ კომუნისტები როგორც აქტიური პოლიტიკური მებრძოლნი პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიის კავშირი ყველა მშრომელთან, მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციასთან, რადგან ხალხთან ეს განუყრელი კავშირია ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა.

პარტიას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ის მიაჩნია, რომ კომუნისტები და ყველა მშრომელნი აღზარდოს დიდი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში შეურიგებლობისა და სიმტკიცის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მიმართავენ რა ამ გლოვის დღეებში პარტიასა და ხალხს, გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტია და ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელნი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მოახდენენ მთელი თავიანთი ძალებისა და შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის.

სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში.

გაუმარჯოს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიად, ყოვლისმძლე მოძღვრებას!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას!

| საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი |
|---|---|---|

1953 წლის 5 მარტი.



# სამედიცინო დასკვნა

## ი. ბ. სტალინის ავადმყოფობისა და გარდაცვალების შესახებ

პირველ მარტს ღამით ი. ბ. სტალინს სისხლი ჩაექცა ტვინში (მის მარცხენა ნახევარსფეროში) ჰიპერტონიული ავადმყოფობისა და ათეროსკლეროზის ნიადაგზე. ამის შედეგად დაიწყო სხეულის მარჯვენა ნახევრის დამბლა და ცნობიერების მყარი დაკარგვა. ავადმყოფობის პირველ დღესვე გამომჟღავნდა სუნთქვის მოშლის ნიშნები ნერვული ცენტრების ფუნქციის დარღვევის გამო. ეს დარღვევა დღითიდღე ძლიერდებოდა; მას ჰქონდა ეგრეთწოდებული პერიოდული სუნთქვის ხასიათი ხანგრძლივი პაუზებით (ჩეინ-სტოქსის სუნთქვა). ორ მარტს ღამით სუნთქვის დარღვევა დროდადრო საშიშ ხასიათს იღებდა. ავადმყოფობის დაწყებიდანვე გამომჟღავნდა აგრეთვე მნიშვნელოვანი ცვლილებანი გულისა და სისხლძარღვების სისტემის მხრივ, სახელდობრ, სისხლის მაღალი წნევა, მაჯისცემის რიტმის გახშირება და დარღვევა (მოციმციმე არიტმია) და გულის გაგანიერება. სუნთქვის და სისხლის მიმოქცევის მოშლის თანდათან გაძლიერებასთან დაკავშირებით უკვე სამი მარტიდან გამოჩნდა ჟანგბადის ნაკლებობის ნიშნები. ავადმყოფობის პირველი დღიდან აიწია ტემპერატურამ და აღინიშნა მომატებული ლეიკოციტოზი, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ფილტვებში ანთების კერების განვითარების მაჩვენებელი.

ავადმყოფობის უკანასკნელ დღეს, საერთო მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებასთან ერთად, დაიწყო გულისა და სისხლძარღვების მძიმე მწვავე ნაკლებობის განმეორებითი შეტევები (კოლაპსი). ელექტროკარდიოგრაფიულმა გამოკვლევამ შესაძლებელი გახადა დადგენილიყო გულის გვირგვინოვან ძარღვებში სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევა და გულის კუნთის კეროვან დაზიანებათა აღმოცენება.

ხუთ მარტს დღის მეორე ნახევარში ავადმყოფის მდგომარეობა განსაკუთრებით სწრაფად გაუარესდა: სუნთქვა ზერელე და მკვეთრად გახშირებული გახდა, მაჯისცემის სიხშირემ მიაღწია 140-150-ს წუთში, მაჯის ავსება დაეცა.

21 საათსა და 50 წუთზე, გულის და სისხლძარღვების და სუნთქვის მზარდი ნაკლებობის მოვლენებისას, ი. ბ. სტალინი გარდაიცვალა.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. ფ. ტრეტიაკოვი,
კრემლის სამკურნალო-სანიტარიული სამმართველოს უფროსი ი. ი. კუპერინი,
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი თერაპევტი პროფესორი პ. ე. ლუკომსკი,
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. ვ. კონოვალოვი,
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ა. ლ. მიასნიკოვი,
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ე. მ. ტარეევი,
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ი. ნ. ფილიმონოვი,
პროფესორი ი. ს. გლაზუნოვი,
პროფესორი რ. ა. ტკაჩოვი,
დოცენტი ვ. ი. ივანოვ-ნეზნამოვი.

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის

## დაკრძალვის მომწყობი კომისიის შექმნის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

შეიქმნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის მომწყობი კომისია ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვის (თავმჯდომარე), ლ. მ. კაგანოვიჩის, ნ. მ. შვერნიკის, ა. მ. ვასილევსკის, ნ. მ. პეგოვის, პ. ა. არტემიევის, მ. ა. იასნოვის შემადგენლობით.

* * *

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის

## დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხედარი დასვენებულ იქნება კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შესვლის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

# ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი
## ი. ბ. სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ
### 1953 წლის 5 მარტის 2 საათისათვის

განვლილ დღე-ღამეში ი. ბ. სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმე იყო.

პირველ მარტს ღამით, ჰიპერტონიული და ათეროსკლეროზული დაავადების ნიადაგზე, ტვინში სისხლის ჩაქცევის შედეგად [illegible] სუნთქვის და სისხლის მიმოქცევის დარღვევა.

3 მარტს დილით განვითარებული სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის დარღვევები [illegible].

[illegible] მაჯისცემა 108-116 წუთში, უსწორო (მოციმციმე არითმია). [illegible] არტერიული წნევა [illegible] ტემპერატურა 38,6 [illegible].

3 მარტს დილით და 4 მარტის [illegible].

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. ფ. ტრეტიაკოვი.
კრემლის სამკურნალო-სანიტარიული სამმართველოს უფროსი ი. ი. კუპერინი.
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი თერაპევტი პროფესორი პ. ე. ლუკომსკი.
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. ვ. კონოვალოვი.
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ა. ლ. მიასნიკოვი.
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ე. მ. ტარეევი.
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ი. ნ. ფილიმონოვი.
პროფესორი ი. ს. გლაზუნოვი.
პროფესორი რ. ა. ტკაჩოვი.
დოცენტი ვ. ი. ივანოვ-ნეზნამოვი.

# ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი
## ი. ბ. სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ
### 1953 წლის 5 მარტის 16 საათისათვის

5 მარტის ღამისა და დილის პირველი ნახევრის განმავლობაში ი. ბ. სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. [illegible]

[illegible] ნა. დილის 11 საათზე გადაღებულმა ელექტროკარდიოგრამამ გვიჩვენა გულის გვირგვინოვან არტერიებში სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევა, გუ- [illegible]

16 საათისათვის სისხლის წნევა 160/100, მაჯისცემა 120 წუთში, [illegible] სუნთქვა 36 წუთში, ტემპერატურა 37,6 გრადუსი; ლეიკოციტები 21 ათასი.

ამჟამად მკურნალობის მიზანია უმთავრესად ბრძოლა სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის, კერძოდ კორონარულის, დარღვევის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. ფ. ტრეტიაკოვი.
კრემლის სამკურნალო-სანიტარიული სამმართველოს უფროსი ი. ი. კუპერინი.
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი თერაპევტი პროფესორი პ. ე. ლუკომსკი.
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. ვ. კონოვალოვი.
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ა. ლ. მიასნიკოვი.
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ე. მ. ტარეევი.
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ი. ნ. ფილიმონოვი.
პროფესორი ი. ს. გლაზუნოვი.
პროფესორი რ. ა. ტკაჩოვი.
დოცენტი ვ. ი. ივანოვ-ნეზნამოვი.

## ლექციების ციკლი ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომის შესახებ

ჭიათურა. (საქ. კორ.). მარგანეცის ქალაქის პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა აქტივი მონდომებით სწავლობს ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში".

აქ დაიწყო ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაწარმოებისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლის კითხვა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. რ. მელაძემ პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა აქტივისათვის წაიკითხა ლექციები თემაზე: „ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" უძვირფასესი განძია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში", „საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკური კანონი".

ამ ციკლის მიხედვით ლექციების კითხვა გრძელდება.

## ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" შესწავლა რუმინეთში

ბუქარესტი, 4 მარტი. (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

ი. ბ. სტალინის ახალმა შრომამ „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", რომელიც უდიდესი განძია მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში, გამოიწვია აღმავლობა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში პოლიტიკური ეკონომიის შესწავლასა და მთელი იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებაში.

ი. ბ. სტალინის შრომის გამოქვეყნებისთანავე რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეუდგა მისი შესწავლის ორგანიზაციას პარტიული განათლების ქსელში, აგრეთვე უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში. რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, მთავრობის წევრებმა და პასუხისმგებელმა მუშაკებმა წაიკითხეს მთელი რიგი მოხსენებანი საოლქო პარტიული და სამეურნეო აქტივის კრებებზე.

პარტიის საოლქო კომიტეტებმა მოაწყეს სემინარები და კონსულტაციები, მოამზადეს ლექტორები რაიონული აქტივის კრებებზე ლექციების წასაკითხავად.

უმაღლეს სასწავლებლებში წაკითხულ იქნა ლექციები მასწავლებელთათვის და მოეწყო სპეციალური სემინარები ი. ბ. სტალინის ნაშრომისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალების შესასწავლად.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სემინარების მოწყობას საოლქო კომიტეტების მდივნებისათვის, უმაღლესი ცენტრალური პარტიული სკოლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტების მსმენელებისათვის, ერთწლიანი და ექვსთვიანი პარტიული სკოლებისა და საოლქო საღამოს პარტიული სკოლების მსმენელებისათვის. ლექციები და სემინარები მოეწყობა აგრეთვე პარტიისა და მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების მდივნებისათვის, რაიონული პარტიული და სამეურნეო აქტივისა და პროპაგანდისტებისათვის.

დღეს მუშაობა დაიწყო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიამ, რომელიც მიძღვნილია ი. ბ. სტალინის გენიალური შრომისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში".

## მძლავრი შრომითი აღმავლობა ბელადის სახელობის ქარხანაში

განსაკუთრებული შრომითი აღმავლობით მუშაობს ამ დღეებში მოწინავე საწარმოს — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი. თებერვლის საწარმოო დავალება საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში აქ გადამეტებით შესრულეს. გადაჭარბებით არის განაღდებული აგრეთვე ორთქლმავალთა შეკეთების დავალება.

ამასთან ქარხნის სტახანოველები თავდადებით იბრძვიან მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. თებერვალში ქარხნის კოლექტივმა ნედლეულის საგრძნობი ეკონომია გასწია და მნიშვნელოვნად შეამცირა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ განსაკუთრებით დაწინაურდა სამსხმელო საამქრო. მეყალიბეები — ს. რაზმაძე, ა. გაბროშვილი, კ. ბაქრაძე, ნ. ანისიმოვი, გ. ლაგრაძე, მეკოპე ი. კილაძე და სხვები მარტის დასაწყისიდან საწარმოო დავალებებს 200-250 პროცენტით ანაღდებენ.

დიდი აღმავლობით მუშაობენ ელექტროსაამქროში. ამ საამქრომ თებერვალში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლების მიღწევის შედეგად მოიპოვა საქარხნო გარდამავალი წითელი დროშა. საამქროში თავდადებული პატრიოტული შრომის საუკეთესო ნიმუშებს გვაძლევენ ელექტრომემონტაჟეები — გ. შარიფაშვილი, ი. ბურჯგულაშვილი და ვ. რურუა.

მარტის პირველ ხუთდღიურში ახალი შრომითი მიღწევები მოიპოვა გამოჩენილმა ნოვატორმა ხარატმა, თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატმა ი. ჭუმბურიძემ. იგი ამჟამად გადასულია ლითონის ჭრის ძალოსნური მეთოდით მუშაობაზე, ყოველდღიურ დავალებებს ორმაგი და სამმაგი გადაჭარბებით ასრულებს.

ახალი შრომითი აღმავლობით აღინიშნება ეს დღეები ქარხნის სხვა საამქროებშიც. მუშები, ტექნიკოსები, ინჟინრები და მოსამსახურეები მასობრივად ჩაებნენ მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამწყობმა საამქრომ უკვე მოათავა იმ დეტალების დამზადება, რომლებიც საჭირო იქნება მარტის განმავლობაში ორთქლმავლების შესაკეთებლად; საქვაბე საამქროს კოლექტივი შეუდგა საორთქლმავლო ქვაბების მარაგად დამზადებას, ასევე სამგზავრო-სავაგონო საამქროში გამზადებულია დეტალთა კომპლექტები მარტში სამგზავრო ვაგონების შესაკეთებლად.

პატრიოტული, თავდადებული შრომის დღეებია ქარხანაში.

## მარტში უკეთესად, ვიდრე თებერვალში

ხაშური. (საქ. კორ.). ეს ორი-სამი დღეა ხაშურის რკინიგზის კვანძის საწარმოთა კოლექტივებმა უმაგალითო შრომითი თავდადებით გააჩაღეს მუშაობა. მეელმავლეები, მევაგონეები, მელიანდაგეები დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს, მასობრივად ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა უკეთესი მაჩვენებლებით შესრულებისათვის, მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე განაღდებისათვის.

მეელმავლეებმა თებერვალში 1,4 კილომეტრით გაადიდეს მატარებელთა ტექნიკური სიჩქარე, გეგმის გადამეტებით გადაზიდეს ათასობით ტონა სახელმწიფო ტვირთი და სახელმწიფოს 29 ათას მანეთზე მეტი დაუზოგეს. ახლა მეელმავლეები იმისათვის იბრძვიან, რომ მარტში უფრო უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვონ. ელექტრომავლის მემანქანემ თ. გოსტიევმა თებერვალში თავისი ელექტრომავლით უზრუნველყო გეგმის გადამეტებით მრავალი ასეული ტონა ტვირთის გადაზიდვა. 3 და 4 მარტს კი მან გეგმის გადამეტებით გადაზიდა 50 ტონა სახელმწიფო ტვირთი. შესამჩნევად გააძლიერეს მუშაობა და უკანასკნელი დღეები ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნეს ლუნინელმა მემანქანეებმა — მ. ტყეშელაშვილმა, გ. გოგოლაძემ, ი. ლაბაძემ, ს. ლომიძემ და სხვ.

## ხარატ პ. კოროლიოვის ინიციატივა

ლენინგრადი, 4 მარტი. (საკდესი). დეტალების შიგახარატების დროს მძლავრ სახარატო ჩარხსაც კი ოდნავ უთრთის საჭრისის საჭერი. ეს არ იძლევა ჭრის სიჩქარის გადიდების საშუალებას, ამცირებს დამუშავების ხარისხს.

ნავთობის მრეწველობის სამინისტროს მექანიკური ქარხნის ჩქაროსანმა ხარატმა პ. კოროლიოვმა შეიმუშავა ორიგინალური მოწყობილობა, რომელიც მთლიანად სპობს ამ ნაკლს. მისი სახარატო ჩარხის სუპორტს ახლა არაჩვეულებრივი სახე აქვს. საჭრისს, გარდა ჩვეულებრივი გამაგრებისა, კიდევ მაგრად აქვს მოჭერილი სპეციალური ჩარჩო, რომელიც შექმნა ნოვატორმა. ამ ახალმა გამოგონებამ შესაძლებელი გახადა თითქმის ერთიორად გადიდებული სიჩქარე. მაგრამ სტახანოველი ვერც ამან დააკმაყოფილა. მან გაადიდა ლითონის ჭრის სიღრმე და იწყო დაწესებულ რაოდენობაზე სამჯერ მეტი დეტალების დამუშავება.

ეს პირველი სიახლე როდია, რომელსაც იყენებს სტახანოველი. ამხ. კოროლიოვი ქარხანაში გამოვიდა როგორც იმ მოძრაობის ინიციატორი, რომ მუშაობის დროს დეტალების მოუხსნელად გადაეცეს ჩარხი შემცვლელს. ინიციატივა პარტიულმა ორგანიზაციამ მოიწონა. ახლა თითქმის ყველა სტახანოველი ცვლას ჩარხის შეუჩერებლად აბარებს. ამის შედეგად შრომის ნაყოფიერება მექანიკურ საამქროებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

## მგლინავები მეტალურგთა პირველ რიგებში

რუსთავი. (საქ. კორ.). რუსთაველმა მგლინავებმა გააძლიერეს ბრძოლა საწარმოო დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მილნამზადის საამქროს კოლექტივმა თებერვალში გეგმის გადამეტებით გამოუშვა ასობით ტონა ნაგლინი. დაწინაურდა მგლინავთა ის ცვლა, რომელსაც კ. ძელიაევი ხელმძღვანელობს. ი. კაშიას ლითონის ამომკვეთელთა ბრიგადამ თებერვლის დავალება 139 პროცენტით გაანაღდა.

უკანასკნელ დღეებში მგლინავებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი. საამაყო შრომითი მაჩვენებლების მოპოვებისათვის წარმატებით იბრძვიან ფოლადის გლინვის ოსტატები — უფროსი ოპერატორი ვ. კერვალიძე, ოსტატი გ. რუხაძე, უფროსი მგლინავი ო. ზურაშვილი და ნაგლინის დამჭრელი ს. შაიშმელაშვილი.

## კახოვკის ჰესის მშენებლობაზე
### ერთი წლით ადრე

ნოვაია კახოვკა. (საკდესი). ამ დღეებში № 52 ხუთასკუბიანი მიწისმწოვი მანქანის ეკიპაჟმა ბაგერმაისტერ სიმონოვის ხელმძღვანელობით დაიწყო კახოვკის ზღვის ზვირთსაქცევი ჯებირის თავის ამოვსება. ჰიდრომექანიზატორებმა უნდა ჩაყარონ რვაასი ათას კუბურ მეტრამდე გრუნტი. ეკიპაჟს ნაკისრი აქვს ვალდებულება ჯებირი ჩააბაროს 1953 წლის აგვისტოში, ხოლო ტექნიკური პროექტით სამუშაოთა დამთავრება დაგეგმილია 1954 წლისათვის.

წამოიწყეს რა შეჯიბრება კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ვადაზე ერთი წლით ადრე დამთავრებისათვის, კახოვკის ჰიდრომექანიზატორებმა შეიმუშავეს მიწის სამუშაოთა შემჭიდროებული გრაფიკი. ამან შესაძლებელი გახადა, რომ ჰიდროკვანძის ბევრი ობიექტი დამთავრებულიყო ვადამდე და მიწისმწოვი მანქანები მომავალი წლის სამუშაოზე გადაეყვანათ.

მიწის კაშხალით დნეპრის კალაპოტის გადახიდვა უნდა განხორციელებულიყო 1954-1955 წლებში; ჰიდრომექანიზატორებმა კი იკისრეს კაშხალი ამოავსონ 1954 წლის დამლევისათვის, ე. ი. ერთი წლით ადრე. ეს უდიდესი სამუშაო, რომ შეასრულონ, ისინი მუშაობას იწყებენ 1953 წელს. სტალინური პრემიის ლაურეატის ინჟინერ ვლადიმირცევის წინადადებით დნეპრის მაღალ მარჯვენა ნაპირზე შეიქმნება მდინარის სილის რეზერვი ორი მილიონი კუბური მეტრის რაოდენობით. ამ მიზნისათვის კაზაცკის კუნძულიდან, სადაც ათასკუბიანი მიწისმწოვი მანქანა იმუშავებს, რეზერვის დაგროვების ადგილამდე გაყვანილ იქნება ექვსი კილომეტრი პულპსადენი. ამ სადენით პულპი ავა 50 მეტრ სიმაღლის სპეციალურ მოედანზე. მომავალი წლის გაზაფხულზე მთელი ჩაყრილი გრუნტი ჰიდრომონიტორებით გადავა დნეპრის კალაპოტში.

უკვე დაიწყო ამ გაბედული ტექნიკური განზრახვის განხორციელებისათვის მზადება.

## ს ა ხ ა ლ ხ ო დემოკრატიის ქვეყნებში

### ბულგარელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა თურქეთის უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლების 75 წლისთავი

სოფია, 4 მარტი. (საკდესი). საბჭოთა ხალხისადმი დიდი მადლობის გრძნობით აღნიშნა ბულგარელმა ხალხმა თურქეთის უღლისაგან თავისი ქვეყნის განთავისუფლების 75 წლისთავი.

გუშინ სოფიის საწარმოებსა და დაწესებულებებში გაიმართა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი სახელდახელო მიტინგები. ათასობით ადამიანი მივიდა იმ რუსი მეომრების ძეგლებთან, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ბულგარეთის განთავისუფლებას, რათა პატივი ეცათ მათი ხსოვნისათვის. ძეგლები შეამკეს მრავალი გვირგვინით, მათ შორის სახალხო კრების პრეზიდიუმის, სახალხო ახალგაზრდობის დიმიტროვული კავშირის ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროების, მასობრივი ორგანიზაციების, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სოფიის საქალაქო კომიტეტის, სოფიის საქალაქო სახალხო საბჭოს, დედაქალაქის ბევრი საწარმოსა და დაწესებულების, სახალხო არმიის მებრძოლებისა და მეთაურების გვირგვინებით.

ქალაქ პლევენში რუსი გმირების ძეგლი მრავალი გვირგვინით შეამკეს. გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე მარშალ ტოლბუხინის ძეგლი.

პლოვდივში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის დამთავრების შემდეგ მშრომელნი გაემართნენ თავისუფლების ბორცვისაკენ, სადაც პატივი სცეს თავიანთ განმათავისუფლებელთა ხსოვნას.

იმ ქალაქში, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს, საზეიმო კრება გაიმართა. ბულგარეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის რუსეთის ჯარებისა და ბულგარელ მოლაშქრეთა ბრძოლაზე მოხსენება გააკეთა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. მინჩევმა.

დაღუპული გმირების ძეგლებთან და ძმათა სასაფლაოებთან მასობრივი მიტინგები გაიმართა აგრეთვე ქალაქებში ლოვეჩში, სტარა-ზაგორაში, შიპკაზე და სხვა ადგილებში აღმართულ ძეგლებთან.

### სტალინვაროშის ბრძმედის მშენებელთა შრომითი თაოსნობა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 4 მარტი. (საკდესი). უნგრელი ხალხი 4 აპრილს — უნგრეთის განთავისუფლების დღეს ახალი შრომითი წარმატებით ხვდება. სტალინვაროშის ბრძმედის მშენებელთა კოლექტივმა გადაწყვიტა 20 მარტიდან 4 აპრილამდე მოაწყოს „განთავისუფლების დღის აღსანიშნავი შრომის კვირა".

უნგრეთის მშრომელთა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტმა მხარი დაუჭირა სტალინვაროშის ბრძმედის მშენებელთა თაოსნობას და ბუდაპეშტის ყველა მშრომელს მოუწოდა ფართოდ გამოეხმაურონ ამ მიმართვას.

ბუდაპეშტის საწარმოთა მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები ფართოდ გამოეხმაურნენ ამ თაოსნობას. ბუდაპეშტის ჩარხმშენებელი ქარხნის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულონ.

ანაველდის ქვანახშირის რაიონის მეშახტეები გამოეხმაურნენ სტალინვაროშელთა მოწოდებას და ვალდებულება იკისრეს მარტში სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცენ 620 ვაგონი ქვანახშირი.

### ნოვაია გუტას მშენებლობაზე

ვარშავა, 4 მარტი. (საკდესი). მეტალურგთა ქალაქ ნოვაია გუტაში, რომელიც კრაკოვის ახლოს შენდება, უკვე 30 ათასზე მეტი მცხოვრებია. ამჟამად დაიწყო ქალაქის ცენტრის მშენებლობა. აქ აშენდება კულტურის დიდი სახლი, მუზეუმები და ბიბლიოთეკები, რატუშა და სხვა დიდი შენობები.

ქალაქში გაშენდება დიდი კულტურის პარკი. იწყება „ახალგაზრდა მუშის სახლის" და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენობების მშენებლობა. წლის განმავლობაში ნოვაია გუტაში აშენდება 7 ათასზე მეტი ოთახი.

## სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი აღმავლობისათვის
### საუბარი საკავშირო პროფსაბჭოს მდივანთან ამხ. ფ. ვ. კარცევთან

საბჭოთა ხალხი ლენინ — სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებს ომისშემდგომი მეორე ხუთწლედის დავალებებს. სოციალისტურმა მრეწველობამ 1952 წელს ახალი მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა. საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა მთლიანად მრეწველობაში შესრულებულია 101 პროცენტით.

სოციალისტური წარმოების ზრდა და სრულყოფა 1952 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ხდებოდა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ბაზაზე. ერთი წლის განმავლობაში საბჭოთა მანქანათმშენებლობამ შექმნა ექვსასამდე უმნიშვნელოვანესი ახალი ტიპისა და მარკის მანქანები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ შემდგომ ტექნიკურ პროგრესს.

სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მობილიზაციის უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება.

მეხუთე სტალინური ხუთწლედი განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას. იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე პარტიის XIX ყრილობამ დასახა, საკავშირო პროფსაბჭომ სამინისტროებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, პროფკავშირთა ცენტრალურ და რესპუბლიკურ კომიტეტებთან და საბჭოებთან ერთად გადასინჯა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოქმედი პირობები მრეწველობის თვითეული დარგისათვის. ამ პირობებში შეტანილია ცვლილებანი და დამატებანი, რომელთა მიზანია სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, რკინიგზის, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტის მუშაობის როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი ამაღლება.

საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1953 წლისათვის დამტკიცებული პირობები ითვალისწინებენ ვალდებულებებს, რომელთა მიზანია სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება, მშენებლობის ახალი ობიექტების ამუშავება არა მარტო დაწესებულ ვადებში, არამედ ვადამდეც. ახალი პირობები ითვალისწინებენ ვალდებულებებს მშენებლობის ღირებულების შემცირების, მუშა-მოსამსახურეთა საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების დარგში.

საწარმოთა კოლექტივების განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ნაწარმის სავალდებულო ასორტიმენტისა და ნომენკლატურის მიხედვით, ამასთან რიტმული მუშაობის უზრუნველყოფას, მოქმედ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებას, ახალი ტექნიკისა და შრომის მოწინავე მეთოდების დაუფლებასა და დანერგვას, რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვას, ნედლეულისა და მასალების ხარჯვაში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვას, შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკების წინაშე დასახულია ამოცანა იბრძოლონ არა მარტო სათბობის მოპოვების, ქვანახშირის ნაცრიანობის შემცირებისა და ღირებულების გაიაფების საერთო გეგმის შესრულებისათვის. განსაკუთრებით აღნიშნულია, რომ საჭიროა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს კოქსვადი ქვანახშირის ამოღების გეგმა, მოქმედი შახტების გამოყენების გაუმჯობესების, დღე-ღამეში ერთი ციკლის გრაფიკით ლავების მუშაობის ორგანიზაციის გეგმა.

შავი მეტალურგიის საწარმოთა კოლექტივების შეჯიბრების პირობები ითვალისწინებენ მოთხოვნებს თუჯისა და ფოლადის გამოდნობის გადიდების, ნაგლინისა და დადგენილი ასორტიმენტის მილების წარმოების, დაგეგმილთან შედარებით ვარგისი ლითონის მიღების გადიდების დარგში. შეჯიბრებაში გამარჯვებულთა განსაზღვრისას მხედველობაში იქნება მიღებული მეტალურგიული პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დონის ამაღლება, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესება, რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვა.

მანქანათმშენებლობის საწარმოთა კოლექტივებმა პირველობის მოსაპოვებლად გეგმა უნდა შეასრულონ მოცემული ნომენკლატურის ზუსტი შესაბამისობით, დანერგონ ლითონის დამუშავების ჩქაროსნული მეთოდები, აითვისონ ახალ სახეობათა მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვება, იმუშაონ რიტმულად.

მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების შეჯიბრებაში გამარჯვებულად იქნებიან მიჩნეულნი ისეთი კოლექტივები, რომლებიც არა მარტო შეასრულებენ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმას დავალებული ასორტიმენტის მიხედვით, არამედ აგრეთვე უზრუნველყოფენ რიტმულ მუშაობას საანგარიშო კვარტალის დეკადებში, მიაღწევენ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში გეგმის ყველაზე მეტი გადაჭარბებით შესრულებას და სხვა ხარისხობრივ მაჩვენებლებს. მოწინავე საწარმომ უნდა მიაღწიოს ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, მასალის, ელექტროენერგიისა და სხვ. ყველაზე მეტ ეკონომიას.

ცვლილებანი და დამატებანი შეტანილია მენავთობეთა, რკინიგზელთა, ელექტროსადგურების, ქიმიური, სატყეო და მრეწველობის სხვა დარგების მუშაკთა, საბჭოთა მეურნეობების, მებამბეობის, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროების ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკთა შეჯიბრების პირობებში. ცვლილებანი და დამატებანი შეტანილია აგრეთვე ყველა რესპუბლიკური სამინისტროს საწარმოთა კოლექტივების შეჯიბრების პირობებში.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და ამხანაგ ი. ბ. სტალინის კლასიკურმა შრომამ „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" გამოიწვიეს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ენერგიის მძლავრი მოზღვავება. მთელ ჩვენს ქვეყანაში ახალი ძალით ჩაღდება შეჯიბრება მეხუთე სტალინური ხუთწლედის დავალებათა ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მასების მზარდ აქტივობას, გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრებისადმი, წარმართონ მილიონობით მშრომელთა ღონისძიებანი ლენინ — სტალინის პარტიის მიერ დასახული უდიდესი ამოცანების გადაჭრისაკენ.

საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ახალ პირობებში სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის მუშაკები ნახავენ მოქმედების კონკრეტულ პროგრამას. მრეწველობის ყოველი დარგის მიერ საწარმოების, მშენებლობებისა და ტრანსპორტის უკლებლივ ყველა კოლექტივის მიერ გეგმების წარმატებით შესრულება ახალი სერიოზული წვლილი იქნება კომუნისტური მშენებლობის საქმეში, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას. (საკდესი).

# საქართველოს კ. პ. თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმი

შედგა საქართველოს კ. პ. თბილისის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „მეაბრეშუმეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" — შესრულების მიმდინარეობაზე მოხსენება გააკეთა თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ი. ყუჯიაშვილმა.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ მეაბრეშუმეობის დარგისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგად თბილისის ოლქის კოლმეურნეობებში უკანასკნელი წლების განმავლობაში აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმები არ სრულდებოდა. ყურადღება არ ექცევა თუთის ხის ახალი ჯიშების გავრცელების საქმეს.

პლენუმზე მოყვანილ იქნა იმის მრავალი ფაქტი, რომ ოლქის ზოგიერთ რაიონში ახლაც უყურადღებოდ არის მიტოვებული თუთის მოვლა-პატრონობის საქმე.

პარტიის ლაგოდეხის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მირიანაშვილმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ უკანასკნელი 6-7 წლის მანძილზე რაიონში 50 ჰექტარზე მეტი თუთის ხის პლანტაცია განადგურდა. ეს მდგომარეობა იმან გამოიწვია, რომ პარკის დამზადების გეგმა ძირითადად აბრეშუმის ჭიის განმეორებითი გამოკვების ხარჯზე სრულდებოდა. მან გააკრიტიკა ტრესტ საქართველოს აბრეშუმის ხელმძღვანელობა იმისათვის, რომ საჭირო მასალა არ მიაწოდა ლაგოდეხის რაიონს პარკის პირველადი გადასამუშავებელი პუნქტის შესაკეთებლად. ამის გამო პუნქტის სარემონტო სამუშაოები ცუდად შესრულდა.

ცნობილია, რომ თუთის ისეთი მაღალმოსავლიანი ჯიშები, როგორიც არის „გრუზია", „თბილისური", „თბილნიიშ № 7", უზრუნველყოფენ ჭიის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ამიტომ პლენუმზე მკვეთრად დაისვა საკითხი თუთის ამ ახალი ჯიშების გავრცელების უზრუნველყოფის შესახებ.

გაკრიტიკებულ იქნა მუშაობა ოლქის მთელი რიგი რაიონების (გურჯაანი, მცხეთა, ახმეტა, ლაგოდეხი) პარტიული და საბჭოთა ორგანოებისა, რომლებიც გადამჭრელ ზომებს არ იღებენ აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის შექმნისათვის. ზოგიერთ რაიონში შეფერხებით წარმოებს ჯიშიანი თუთის ხის კვირტის დამზადება, პლანტაციისა და სანერგეების შეღობვის სამუშაოები.

როგორც მომხსენებელმა, ისე მოკამათეებმა — პარტიის გორის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. რთველიაშვილმა, პარტიის ბოლნისის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. კაციტაძემ ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ოლქის კოლმეურნეობებში სუსტად ვრცელდება ნოვატორ მეაბრეშუმეთა გამოცდილება. მაგალითად, გორის რაიონში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არ სრულდება აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა, რის მთავარ მიზეზად ამხ. რთველიაშვილმა საკვები ბაზის უქონლობა და მოწინავე მეაბრეშუმეთა გამოცდილების პროპაგანდის სუსტად დაყენება დაასახელა. რაიონში არიან ისეთი მოწინავე მეაბრეშუმეები, როგორიცაა რაისა ტლაშაძე, ანა მირუაშვილი, თამარ მერებაშვილი და სხვები. ცხადია, მოწინავე მეაბრეშუმეთა რიცხვი მეტი იქნებოდა, პარტიის რაიონულ კომიტეტს და რაისაბჭოს აღმასკომს ადგილებზე ფართოდ რომ გაეშალათ მუშაობა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისათვის.

პლენუმზე გაკრიტიკებულ იქნა ტრესტ საქართველოს აბრეშუმის და საოლქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკური კულტურების სამმართველოს მუშაობა, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს თავიანთი საქმიანობა ახალი ამოცანების შესაბამისად.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

# დიდდება ფართო მოხმარების საქონლის და საშენი მასალების გამოშვება

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ აღნიშნულია: „გადიდდეს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხუთწლედის მანძილზე დაახლოებით 60 პროცენტით და, პირველ რიგში, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება, საშინაო და სამეურნეო საგნების, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოება და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. მოკავშირე რესპუბლიკებში განვითარდეს ნედლეულის საკუთარი ბაზები ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციისათვის"...

XIX პარტყრილობის ეს მითითებები საფუძვლად უდევს თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მიერ დამუშავებულ ახალ, მეხუთე ხუთწლიან გეგმას.

რას ითვალისწინებს თბილისის ადგილობრივი მრეწველობის ხუთწლედი?

მიმდინარე ხუთწლედის ბოლომდე თბილისის ადგილობრივი მრეწველობის გასაფართოებლად გათვალისწინებულია დიდი კაპიტალდაბანდება როგორც საშენ მასალათა საწარმოების გასადიდებლად, ისე ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გასადიდებლად. ამ კაპიტალდაბანდებათაგან მნიშვნელოვანი თანხების ათვისება უნდა მოხერხდეს წელს.

წელს იწყება პირუტყვის კომბინირებული საკვების გამომშვები საწარმოს მშენებლობა, ფართოვდება საშენი მასალების წარმოება და მოწყობა მშრომელებისათვის ამ მასალათა მიწოდება. ამ მიზნით ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება თბილისში, 26 კომისრის რაიონში, აშენებს სპეციალურ ფარდულს, სადაც გამოტანილ იქნება მოსახლეობისათვის მისასყიდად აგური, კრამიტი, კირი, პარკეტი, გაჯი, პირუტყვის კომბინირებული საკვები, სხვადასხვა საშენი მასალები. ამასთან ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ხუთწლედით გათვალისწინებულია ინერტულ საშენ მასალათა კარიერების გაფართოება იმდენად, რომ შესაძლებელი გახდეს თბილისში თანდათან მზარდ ახალმშენებლობათა შეუფერხებელი მომარაგება ისეთი მასალებით, როგორიცაა ქვიშა და ხრეში. ამ მხრივ სათანადო ღონისძიებები უკვე ხორციელდება. წინასწარი საორიენტაციო გაანგარიშების მიხედვით წელს ადგილობრივი მრეწველობის კარიერებიდან შესაძლებელი იქნება თბილისელ მშენებლებს შეუფერხებლად მიაწოდონ 120.000 კუბმეტრი ქვიშა და 180.000 კუბმეტრი ხრეში.

გაჯი მეტად მნიშვნელოვანი საშენი მასალაა. მშენებლები უდიდეს მოთხოვნილებას აყენებენ მასზე. თბილისის ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ხუთწლედში გათვალისწინებულია აიგოს 20.000 ტონა წარმადობის სიმძლავრის გაჯის ახალი ქარხანა, რომლის მშენებლობა დაიწყება მომავალ წელს ისეთი ანგარიშით, რომ 1955 წლის ბოლოსათვის ქარხანამ დაიწყოს პროდუქციის გამოშვება.

თბილისის ადგილობრივი მრეწველობა აერთიანებს აგურის ქარხნებს, გაჯისა და კირის საწარმოებს, საკარიერო მეურნეობას, კაფელის ფილების ქარხანას, სატრიკოტაჟო-საგალანტერიო საწარმოს, კუიბიშევის სახელობის ხის გადასამუშავებელ ქარხანას, სამჭედლო სახელოსნოს, რომელიც ფართო მოხმარების საქონელს — თოხს, ბარს, წერაქვს, და სხვა ხელსაწყო-იარაღს ამზადებს.

მიმდინარე წლიდან მთელ რიგ ამ საწარმოებში ჩაღდება მუშაობა ახალი ასორტიმენტის საქონლის გამოსაშვებად. კაფელის ფილების ქარხანაში აითვისეს მხატვრულად გაფორმებული ლარნაკების გამოშვება, კუიბიშევის სახელობის ხის გადასამუშავებელ ქარხანაში შეუდგნენ წიგნის კარადებისა და სამზარეულო კარადების გამოშვებას, აგრეთვე პარკეტის დამზადებას, საპორტრეტო მხატვრული ჩარჩოების გამოშვებას, ახალი სტილის ბუფეტების წარმოებას. საგალანტერიო ფაბრიკაში შეუდგნენ მოდური ყელსახვევების, მთელი რიგი სხვა სახელწოდების ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოებას. კულტურულ-სამეურნეო მოხმარების საქონლის საწარმოში აითვისეს მაღალხარისხოვანი სარკეების გამოშვება და ა. შ.

ამჟამად თბილისის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები უშვებენ 120-ზე მეტი სახელწოდების პროდუქციას, 26 სახელწოდებით მეტს, ვიდრე შარშან უშვებდნენ. ახლად ათვისებული პროდუქციის ასორტიმენტში შედის ელექტროსანათურები, საწოლები, მსუბუქი სატუმბავი ხელსაწყოები, ახალი სატრიკოტაჟო ნაწარმი და ა. შ.

თბილისის ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა ღირსების საქმეა უზრუნველყონ მეხუთე სტალინური ხუთწლედით მათ წინაშე დასახულ სამუშაოთა ვადამდე შესრულება, მომხმარებელს მოაწოდონ მაღალხარისხოვანი და იაფფასიანი ფართო მოხმარების საქონელი და საშენი მასალები.

# სტახანოური ტექნოლოგია მანქანათმშენებლობაში

მძიმე მანქანათმშენებლობის საწარმოებში ფართოდ ვრცელდება ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის ნოვატორების — მჭედელ ტ. ოლეინიკოვის და ტექნოლოგ ა. პოზდეევის გამოცდილება. ავითარებენ რა ინჟინერ თ. კოვალიოვის თაოსნობას, მათ წინადადება შეიტანეს, რომ წარმოებაში დაინერგოს არა მარტო საუკეთესო სტახანოვური ხერხები, რომლებიც ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, არამედ ამასთანავე გათვალისწინებულ იქნას მასალების მომჭირნეობა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, მოწყობილობის რაციონალური გამოყენება, — გათვალისწინებულ იქნას ყველაფერი, რაც ერთად აღებული შეადგენს სტახანოვურ ტექნოლოგიას.

როგორც საკდესის კორესპონდენტს მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროში აცნობეს, მარტო ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში, სადაც დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება კომპლექსური სტახანოვური ტექნოლოგიისათვის, ამხ. ოლეინიკოვისა და პოზდეევის წინადადების დანერგვით მიღებულია 3,5 მილიონი მანეთი წლიური ეკონომია. ეს წლის მანძილზე დაზოგილი ლითონის, გაზის, ელექტროდების, ელექტროენერგიის, სათბობის ღირებულებაა.

გამოიყენა რა ურალის მანქანათმშენებელთა გამოცდილება, სტალინის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხნის სტახანოველმა მღარველმა ბაზანოვმა ორთქლის ტურბინების ფრთების დამზადებაზე დაზოგა 107 ათასზე მეტი მანეთი, ხოლო წლიურმა ეკონომიამ საწარმოში ორ მილიონამდე მანეთი შეადგინა.

ფართოდ იყენებენ ნოვატორთა გამოცდილებას ლენინის სახელობის ნევის მანქანათმშენებელ ქარხანაში (ლენინგრადი), სტალინის სახელობის ნოვოკრამატორსკის ქარხანაში (ქ. ელექტროსტალი), სტარო-კრამატორსკის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში და სხვ.

მძიმე მანქანათმშენებლობის საწარმოებში წლის მანძილზე შესწავლილი და განზოგადებულია ოთხი ათასი ნოვატორის გამოცდილება. შრომის სტახანოვური მეთოდები მრავალმა ათასმა მუშამ აითვისა. წარმოებაში სტახანოვური ტექნოლოგიის დანერგვით მიღებულია 11 მილიონზე მეტი მანეთი ეკონომია. (საკდესი).

# დაზოგილი ბოჭკოსაგან გაკეთებული ქაღალდი

**იუჟნო-სახალინსკი,** 4 მარტი. (საკდესი). სახალინის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატებში 63 საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადაა. ისინი იბრძვიან ბოჭკოს კომპლექსური დაზოგვისათვის, პროდუქციის ხარისხის გადიდებისათვის.

პორონაისკის კომბინატის მებადემ ქ. ლუპანოვმა თავის მანქანაზე მოაწყო სპეციალური დამჭერები გარეცხვის დროს ბოჭკოს დასაჭერად. ამის გამო ლუპანოვის ბრიგადამ წლის დასაწყისიდან უკვე გამოიმუშავა დამატებით ოცდაათ ტონამდე ქაღალდი, ამასთანავე მნიშვნელოვნად გადიდდა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

ახლა ლუპანოვის კოლექტივის მაგალითით მუშაობს სხვა კომბინატების ათობით ბრიგადა.

# სოფლის მშრომელთა საბრძოლო ამოცანა

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა გასული სამეურნეო წლის შედეგების შეჯამებასთან ერთად კონკრეტულ ღონისძიებებს სახავს, რათა მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წელს — მოიყვანოს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი, უზრუნველყოს პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის შემდგომი ზრდა, მეტი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებებში მოცემულია საქართველოს მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლის კონკრეტული პროგრამა, დასახულია კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების, საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარების და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მტკიცედ დაცვის დიდი ღონისძიებანი.

გაიშალა მუშაობა პარტიის მიერ დასახულ საბრძოლო ამოცანათა შესრულებისათვის. ხაკოლმეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. წითელწყაროელ მშრომელთა ინიციატივით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი წარმოების მარცვლეულით უზრუნველყოფის ამოცანის ვადაზე ადრე წარმატებით განაღდების უზრუნველსაყოფად. მიმდინარე წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქუთაისის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკები, აჭარისამ აფხაზეთის რესპუბლიკის მშრომელები. ქუთაისის ოლქმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის ოლქი ვენახების მზრუნველობით მოვლისათვის, ყურძნის უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის.

წელს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე ბევრად მაღალი იქნება. ამიტომაც საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პარკის დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთებას და მუშაობის ისეთ ორგანიზაციას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მძლავრი ტექნიკის შეუფერხებელი და სრული დატვირთვით გამოყენება.

გამოიყენა რა ყველა შესაძლებლობა, ტრაქტორების შეკეთების გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა ბევრმა მტს-მა გადაჭარბებით შეასრულა, წარმატებით გაანაღდა წლიური დავალებაც.

ჯერ კიდევ 10 თებერვლისათვის ტრაქტორების წლიური გეგმა ნაცვლად დაწესებული ვადის — ამა წლის 10 მარტისა — გადაჭარბებით ჰქონდათ შესრულებული ბოგდანოვკის, ტყიავის, წითელხიდის, თეთრი წყაროს, ახალქალაქის, ასპინძის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს.

მაგრამ ჯერ კიდევ არიან მტს-ები, სადაც ვხვდებით ჩამორჩენასა და მანქანების უხარისხოდ შეკეთების ფაქტებს. მარნეულის, ახმეტის, წნორის, კასპის, ქსუისის, შინდისის, აგარის, ყვარლის, თეძამის და სტალინირის მტს-ებში გამოვლინებულ იქნა ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ცუდად შეკეთების მთელი რიგი ფაქტები ქსუისის მტს-მა (დირექტორი ამხ. გოგიჩაიშვილი) შეკეთებიდან გამოუშვა ისეთი ტრაქტორი, რომელსაც 10 დეფექტი აღმოაჩნდა, შინდისის მტს-მა კი (დირექტორი ამხ. კოტეტიშვილი) შეკეთებიდან გამოუშვა ტრაქტორი, რომელსაც აღმოაჩნდა 11 დეფექტი.

მანქანების შეკეთების დაბალი ტემპი და მათი უხარისხო შეკეთება აიხსნება საქმის ცუდი ორგანიზაციით. ჩამორჩენილი მტს-ების დირექტორებმა და მთავარმა მექანიკოსებმა არ უზრუნველყვეს შეკეთებაში კვანძური მეთოდის გამოყენება და დაუშვეს დადგენილი წესების უხეშად დარღვევა. სოფლის მეურნეობის ორგანოები ქმედით ზომებს არ იღებენ მტს-ების პარკის ხარისხიანად მომზადების უზრუნველსაყოფად. ნაკლები ყურადღება ექცევა მისაბმელი ინვენტარის და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთების საქმეს.

ამ საქმეში ბრალი მიუძღვის აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელმაც ვერ უზრუნველყო რემონტისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობა და ხარისხის დაცვისადმი მტკიცე კონტროლის დაწესება. სამინისტრო ამჟამად გადამწყვეტ ზომებს იღებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ყველგან უნდა მოეწყოს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მზადყოფნის შემოწმება გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის. საჭიროა ისეთი ზომების მიღება, რომ უახლოეს დღეებშივე უზრუნველყოფილ იქნას მთელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მზადყოფნა.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომზადებისა და სრულყოფილად გამოყენების წარმატება დამოკიდებულია კადრებზე. ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია მომზადდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლებში და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან მოწყობილ კურსებზე 5.232 მექანიზატორი. ამჟამად სკოლებში და კურსებზე გაჩაღებულია მეცადინეობა და სოფლის მეურნეობის ათასობით მუშაკი იძენს და იმაღლებს ცოდნას.

მიუხედავად დიდი მოთხოვნილებისა, ზოგიერთი რაიონი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მექანიზაციის კადრების მომზადებაში. მაგალითად, კასპის რაიონს მექანიზაციის სკოლებში გეგმით უნდა მიევლინებინა 70 კაცი, ფაქტიურად მიავლინა 62, ქარელის რაიონმა მექანიზაციის სკოლებში ნაცვლად 62 კაცისა მიავლინა 55. ცხაკაიას მტს-მა გააჭიანურა ტრაქტორისტების მომზადების დაწყება.

საჭიროა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა უახლოეს დღეებშივე დაამთავრონ საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენა, სატრაქტორო ბრიგადების მიმაგრება კოლმეურნეობებზე, მათთვის წლიურ საწარმოო და სამუშაოთა წარმოების დავალებათა მიცემა მათი მომსახურების კოლმეურნეობათა გეგმების შესაბამისად. უნდა დავაჩქაროთ მტს-ებსა და კოლმეურნეობათა შორის ხელშეკრულებების დადება და უზრუნველვყოთ ამ საქმის უახლოეს დღეებში დამთავრება.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ცოცხალი გამწევი ძალის მომზადებას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს. კოლმეურნეობათა გამგეობებმა დაუყოვნებლივ უნდა მოაწყონ მთელი მუშა-პირუტყვის მზადყოფნის შემოწმება.

როგორც მოსამზადებელი, ისე მუშაობის მთელი პერიოდისათვის საჭირო რაოდენობით უნდა გამოიყოს მაღალხარისხიანი საკვები, რომლის ხარჯვა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით უნდა წარმოებდეს, რომ არ იყოს შემთხვევები მუშაობიდან პირუტყვის გამოსვლისა დასუსტების გამო.

საგაზაფხულო თესვის უზრუნველყოფა კონდიციური თესლის საჭირო რაოდენობით მეტად პასუხსაგები და დიდმნიშვნელოვანი საქმეა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ რაიონში ძალიან ჩამორჩება მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის მომზადება. ასეა ასპინძის, ბორჯომის, დუშეთისა, და დმანისის რაიონებში. იქ, სადაც ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ თესლის გაწმენდა, დახარისხება და კონდიციამდე აყვანა, სასწრაფოდ უნდა უზრუნველვყოთ ამ სამუშაოთა შესრულება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ადრეული კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვის სამუშაოთა ჩატარებას. ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნის, საგარეჯოს და სხვა რაიონების დაბლობ ზონაში დროა ფართოდ გაიშალოს ადრეული კარტოფილის თესვა იმ ვარაუდით, რომ ეს სამუშაო სწრაფად დამთავრდეს.

საჭიროა რესპუბლიკის დაბლობი ზონის კოლმეურნეობებმა გამოიყენონ ყველა პირობა და უზრუნველყონ, რომ წარმატებით დამთავრდეს ღია გრუნტში თესვა ადრეული ბოსტნეულისა, როგორიც არის ხახვი, სუფრის ჭარხალი, სტაფილო, ოხრახუში, წიწმატი.

კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვისათვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სარგავი და სათესი მანქანები, უზრუნველვყოთ ამ კულტურების დამუშავების ფართო მექანიზაცია. აღსანიშნავია, რომ დღემდე ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობას საკმაო რაოდენობით როდი აქვს მომარაგებული კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების თესლი.

ჯიშთა გამოცდით, აგრეთვე ფართო საწარმოო პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ ჩვენს პირობებში მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება კარტოფილის შემდეგი ჯიშები: „მაჟესტიკი", „ადრეული ვარდისფერი", „ლორხი".

კოლმეურნეობებმა უმოკლეს ვადაში უნდა დაამთავრონ საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის სათესლე მასალის შეძენა საქართველოს „ბოსტანჯიშთესლის" სარაიონთაშორისო ბაზებიდან, რომლებიც საკმაოდ არიან მომარაგებული ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების თესლით.

წელს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებს მიცემული აქვთ კვალსათბურების გამართვის გეგმა 50.000 ჩარჩოს რაოდენობით. კვალსათბურებში გამოყვანილ უნდა იქნას ბოსტნეულის ადრეული პროდუქცია და ჩითილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნელი ტემპით მიმდინარეობს კვალსათბურების ჩარჩოებისა და ყუთების შეკეთება. ჭილობების დამზადება, ნაკელის გაზიდვა, მიწის ნაზავის მომზადება და კვალსათბურების გამართვა. ამ სამუშაოთა დაჩქარება სოფლის მეურნეობის ორგანოების მუშაკთა გადაუდებელი საქმეა.

პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის გადიდების გადამწყვეტ პირობას მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზით უზრუნველყოფა წარმოადგენს; საკვები ბაზის განვითარებას გაზაფხულზე უნდა ჩაეყაროს საფუძველი. ამიტომ საკვები ბალახებისა და საკვები ძირხვენების თესვისათვის მზადება განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ამოცანა ის არის, რომ ყველა რაიონმა და თვითეულმა კოლმეურნეობამ პირუტყვის საკვები კულტურების თესვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულოს.

მიუხედავად ამინდის ხელსაყრელი პირობებისა, რაც საშუალებას იძლევა წელს ჩვეულებრივზე ადრე შევუდგეთ საკვები კულტურების თესვას, მთელ რიგ რაიონებში მაინც არა ჩქარობენ და ძალიან აგვიანებენ თესვისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს. თბილისის ოლქის ზოგ კოლმეურნეობაში (ასპინძის რაიონი) გააჭიანურეს სათესლედ გათვალისწინებული მრავალწლიანი ბალახების გალეწვა.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ დამამზადებელი ორგანიზაციების რესურსებიდან გამოჰყო კოლმეურნეობათა დასახმარებლად ესპარცეტის, საკვები ჭარხლის, სტაფილოს, გოგრის და სხვა საკვები კულტურების თესლი, „ზაგოტზერნოსა" და „ბოსტანჯიშთესლის" ბაზებიდან დღესაც არ არის თესლი გაზიდული.

სოფლის მეურნეობის ორგანოებმა, მტს-ებმა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა უახლოეს დღეებშივე უნდა გამოასწორონ ჩამორჩენა და არ დაუშვან საკვები კულტურების თესვის დაგვიანება. წელს ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ საკვები კულტურების თესვა ჩავატაროთ აგროტექნიკურ ვადებში და უზრუნველვყოთ ამ კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

ამჟამად კლიმატური პირობები ყველა საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ მთელ რიგ რაიონებში ფართო მასშტაბით ვაწარმოოთ საგაზაფხულო ხვნა, სრული დატვირთვით გამოვიყენოთ მდიდარი ტექნიკა.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ხვნისათვის ხელსაყრელი პირობები ზოგან სრულად არ არის გამოყენებული და სოფლის მეურნეობის ადგილობრივი ორგანოებისა და მტს-ების ხელმძღვანელები გულდამშვიდებით შესცქერიან ამ მდგომარეობას. 1 მარტისათვის თბილისის ოლქში მოხნული იყო 18.578 ჰექტარი, ქუთაისის ოლქში — 26.211 ჰექტარი, აჭარაში — 89 ჰექტარი, სამხრეთ ოსეთში — 303 ჰექტარი.

ხელსაყრელი ამინდის პირობებში ხვნაში ჩამორჩენა დანაშაულს წარმოადგენს. საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ გადამჭრელი ზომები და უზრუნველვყოთ ხვნის ტემპის მაქსიმალური გაძლიერება.

ყველაფერი გაკეთდა და კეთდება თუ არა საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადებისათვის, ამ საქმეში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად, — აი საკითხი, რომელზეც უნდა ზრუნავდეს დღეს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი.

სოფლის მეურნეობის ორგანოების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, კოლმეურნეთა და ყველა სპეციალისტის ვალია არ დაზოგონ ძალღონე, ცოდნა და გამოცდილება, ყველაფერი გააკეთონ საგაზაფხულო თესვის მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარებისათვის.

**ა. ბედიაშვილი,**
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

## პოლიტიკურ კომიტეტში

**ნიუ-იორკი,** 4 მარტი. (საკდესი). 3 მარტს დღისით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტი განაგრძობდა კორეის საკითხის განხილვას.

ჰოლანდიისა და პერუს წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატს და მიბაძეს მის ცილისმწამებლურ მტკიცებას კორეის საკითხში საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ.

პერუს დელეგატის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარემ კომიტეტს მოაგონა, რომ ორატორთა სია დაიხურება 4 მარტს საღამოს. ამით დამთავრდა პოლიტიკური კომიტეტის სხდომა.

**ნიუ-იორკი,** 4 მარტი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის დღევანდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი კორეის საკითხზე. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სკშევსკიმ განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც გასულ კვირაში კამათი დაიწყო, ცხადი გახდა, რომ ზოგიერთი დელეგაცია, რომლებსაც შეერთებული შტატები მეთაურობენ, გენერალური ასამბლეის სესიაზე მოვიდა არა გულწრფელი სურვილით — მიაღწიოს კორეის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას, არამედ იმ განზრახვით, რომ მხარი დაუჭიროს ამერიკის მმართველი წრეების გეგმებს, ე. ი. კორეაში საომარი მოქმედების გაფართოებისა და ახალი მსოფლიო ომის მომზადების გეგმებს.

მაგრამ კამათმა აგრეთვე ცხადყო იმის შეგნების ზრდა, რომ საჭიროა შეწყდეს ამერიკის აგრესია კორეაში. ეს ცხადყო კენჭისყრამ საბჭოთა წინადადებისათვის — მოწვეულ იქნას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი კამათში მონაწილეობისათვის. ამ კენჭისყრაში 22 სახელმწიფომ, რომელთა მოსახლეობა მილიარდზე მეტ კაცს შეადგენს, აღიარა, რომ წინადადების უარყოფა უგუნურება იყო. შიში ამ მზარდი შეგნების წინაშე, რომ სწორია ყველა ქვეყნის ხალხთა მოთხოვნა — დამყარდეს მშვიდობა, შეერთებულ შტატებს აიძულებს შეეცადონ თავიდან აიშორონ კორეის საკითხის ყოველმხრივი განხილვა.

სკშევსკიმ განაცხადა, რომ დადგა დრო ბოლო მოეღოს ზღაპრებს ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის „აგრესიის" შესახებ და დაგმო იმ დელეგატების ფარისევლობა, რომლებიც „დასტირიან" ეგრეთწოდებული „ინდოეთის" რეზოლუციის უარყოფას, რომელიც, როგორც მათ იციან, მიუღებელი იყო.

რეზოლუცია, განაგრძო სკშევსკიმ, იყო საფარველი, რომლითაც შეერთებული შტატები აფართოებდნენ თავიანთ სასტიკ აგრესიას კორეელი ხალხის წინააღმდეგ, თავიანთ მხეცობას სამხედრო ტყვეთა მიმართ, რაც მათ ისესხეს საშუალო საუკუნეთა და ჰიტლერიზმის არსენალიდან. მან მოიყვანა იმის დამამტკიცებელი მრავალი საბუთი, რომ შეერთებული შტატები ბარბაროსულ ბაქტერიოლოგიურ ომს ეწევიან. სკშევსკიმ აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები აშკარად ცდილობენ გაჟლიტონ კორეელი ხალხი, რათა დააშინონ აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხები.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოლიტიკა ამერიკელი ხალხის სულ უფრო დიდ წინააღმდეგობას იწვევს. ამას მოწმობს ამასწინანდელი ცნობები იმ წერილების შესახებ, რომლებიც თეთრ სახლს მისდის მოთხოვნით — გაიწვიონ კორეიდან ამერიკის ჯარები, რათა შესრულდეს ეიზენჰაუერის წინასაარჩევნო დაპირება — დაამთავროს ომი კორეაში. სკშევსკიმ აგრეთვე აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებში კორეის ომის გაძლიერებულ არაპოპულარობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სულ უფრო მატულობს დეზერტირობა ამერიკის შეიარაღებული ძალებიდან. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მზარდი წინააღმდეგობის წინაშე შიშმა მიაღებინათ დანაშაულებრივი რასისტული პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს, რომ „აზიელები უნდა ეომებოდნენ აზიელებს".

სკშევსკიმ აღნიშნა, რომ პოლონეთი მტკიცედ უჭერს მხარს საბჭოთა წინადადებას კორეაში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

სკშევსკის გამოსვლის შემდეგ სიტყვა აიღო კუბის წარმომადგენელმა.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი ლოჯი, რომელიც ცდილობდა ლიტონი სიტყვით უარეყო კორეაში ამერიკის არმიის მიერ ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების ფაქტები.

საბჭოთა წარმომადგენელი ვ. ა. ზორინი თავის სიტყვაში შეეხო ლოჯის განცხადებას ბაქტერიოლოგიური ომის შესახებ და აღნიშნა, რომ, როგორც ცნობილია, შეერთებულმა შტატებმა განიარაღების კომისიაში მოითხოვეს „გამოკვლევა", მაგრამ ეს ფაქტი, რომელსაც საქმესთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, ვერ დამალავს, როგორც ლოჯი ცდილობდა, იმას, რომ შეერთებული შტატები ეწევიან ბაქტერიოლოგიურ ომს და უარი თქვეს დაიცვან ჟენევის ოქმები, რომლებიც კრძალავენ ბაქტერიოლოგიურ ომს.

თავმჯდომარემ მუნიზმა გამოაცხადა, რომ პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომა არ გაიმართება, რადგან გამოსვლის მსურველი არავინ აღმოჩნდა.

# ბერლინის ფრანგული სექტორის კომენდანტის გენერალ მანსო-დემიოს წერილი ბერლინში საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენლის ს. ა. დენგინისადმი

**ბერლინი,** 4 მარტი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 28 თებერვალს ბერლინში საბჭოთა წარმომადგენლებმა საფრანგეთის ხელისუფალთ საზეიმო ცერემონიით გადასცეს ავიაპოლკ „ნორმანდია-ნემანის" იმ 11 ფრანგი მფრინავის ნეშტი, რომლებიც ჰიტლერელ დამპყრობლებთან ბრძოლებში დაიღუპნენ.

ბერლინის ფრანგული სექტორის კომენდანტმა გენერალმა მანსო-დემიომ მადლობის ნიშნად ბერლინში საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენელს ს. ა. დენგინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

დღეს, იმ ცერემონიის მეორე დღეს, როცა საფრანგეთის ხელისუფალთ გადაეცათ ავიაპოლკ „ნორმანდია-ნემანის" იმ 11 ფრანგი მფრინავის ნეშტი, რომლებიც აღმოსავლეთ ფრონტის ბრძოლის ველზე დაიღუპნენ, მსურს პირადად გადმოგცეთ ჩემი გულწრფელი მადლობა იმ ამაღელვებელი პატივისცემისათვის, რაც საბჭოთა ხელისუფლებმა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებმა მათდამი გამოიჩინეს.

იმ საზეიმო პატივისცემამ, რაც ჩვენი თანამოიარაღე ამხანაგებისადმი გამოიჩინეს, ცერემონიას მიანიჭა ღირსება და სიდიადე, რომლებმაც დიდად ამაღელვეს და ბერლინში მყოფი ფრანგი ჯარების განსაკუთრებული მადლიერება გამოიწვიეს.

# თავისუფლება ანრი მარტენს!

**პარიზი,** 4 მარტი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ საფრანგეთში შეიქმნა „ანრი მარტენის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საინფორმაციო კომიტეტი". კომიტეტმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი შექმნეს „სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენის ადამიანებმა, რათა მიაღწიონ ანრი მარტენის განთავისუფლებას".

# გერმანული გაზეთი ამერიკის ავიაბაზების მშენებლობის შესახებ ჩრდილოეთ ნორვეგიაში

**ბერლინი,** 5 მარტი. (საკდესი). გაზეთი „ნახტ-ექსპრესი" დღეს აქვეყნებს ოსლოდან მიღებულ საკუთარ ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ ნორვეგიაში შენდება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი დიდი სამხედრო-საჰაერო დასაყრდენი პუნქტები. მაგალითად, ბუდეს რაიონში შენდება აეროდრომები, სადაც იქნება მიწისქვეშა ანგარები, მიწისქვეშა სათავსოები, საწვავის, საომარი მასალებისა და კვების პროდუქტების საწყობები. ტრომსეს აღმოსავლეთით შენდება დიდი აეროდრომი, ამ ადგილის ახლოს აგებენ მიწისქვეშა სათავსოებს „განსაკუთრებული მიზნებისათვის". როგორც კომპეტენტურ წრეებში განაცხადეს, საქმე ეხება ბომბების უდიდესი საწყობის აგებას ჩრდილოეთ ნორვეგიაში. როგორც ნორვეგიის თავდაცვის სამინისტროს სამშენებლო განყოფილების სამხედრო სპეციალისტებმა განაცხადეს, ეს დასაყრდენი პუნქტები გადაეცემა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს ნორვეგიის პარლამენტის არჩევნების შემდეგ ამა წლის ოქტომბერში.

# ეროვნული სუვერენიტეტის დარღვევის ნიშნით

## დანიის ფოლკეტინგმა მიიღო ახალი კონსტიტუციის პროექტი

**კოპენჰაგენი,** 5 მარტი. (საკდესი). 3 მარტს ფოლკეტინგში (პარლამენტის ქვედა პალატა. — რედ.) მოეწყო დანიის ახალი კონსტიტუციის პროექტის მესამე წაკითხვა.

ახალი კონსტიტუციის პროექტი შემუშავდა იანვრის დამდეგს ბურჟუაზიულ პარტიათა შორის შეთანხმების შედეგად. პროექტი დიდ ცვლილებებს შეიცავს ამჟამად მოქმედ 1915 წლის კონსტიტუციასთან შედარებით. ახალი კონსტიტუცია, კერძოდ, ითვალისწინებს ერთპალატიანი სისტემის შემოღებას ორპალატიანის ნაცვლად და ასაკობრივი საარჩევნო ცენზის შემცირებას.

მაგრამ ყველაზე არსებით ცვლილებას შეიცავს პროექტის მე-20 მუხლი. ეს მუხლი ითვალისწინებს, რომ რიკსდაგს (პარლამენტს. რედ.) შეუძლია სახელმწიფოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების რწმუნებულებათა ნაწილი გადასცეს ეგრეთწოდებულ „საერთაშორისო ხელისუფლებს". ამასთან მხედველობაში აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აგრესიული ატლანტიკის კავშირი და ევროპის საბჭო. ეს მუხლი არსებითად ნიშნავს ეროვნულ სუვერენიტეტზე უარის თქმას, რასაც დანიის პრესაც აღიარებს.

10 და 11 თებერვალს მოხდა ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველი განხილვა, რომელზეც ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებმა, მათ შორის სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს პროექტის მიღებას. მარტო პალატის კომუნისტური ფრაქციის თავმჯდომარემ აქსელ ლარსენმა ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ კომუნისტები მე-20 მუხლის წინააღმდეგი არიან. მან პროექტში ამ მუხლის შეტანა დაახასიათა როგორც ეროვნული დანაშაული დანიისა და დანიელი ხალხის წინააღმდეგ.

დანიის ახალი კონსტიტუციის პროექტის მესამე წაკითხვის დროს კომუნისტური პარტიის ფრაქციამ ერთხელ კიდევ შეიტანა წინადადება ახალი კონსტიტუციის პროექტის მე-20 მუხლის საკითხი კონსტიტუციის შეცვლის შესახებ საკონსტიტუციო წესების შესაბამისად გადაეცათ საყოველთაო-სახალხო კენჭისსაყრელად. მაგრამ კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წინადადება უარყო ფოლკეტინგის ბურჟუაზიულმა უმეტესობამ.

კომუნისტური ფრაქციის თავმჯდომარემ აქსელ ლარსენმა ახალი კონსტიტუციის პროექტის საბოლოო განხილვის დროს ზოგადად შეაფასა ეს პროექტი. აქსელ ლარსენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთპალატიანი სისტემის დაწესება და ასაკობრივი ცენზის შემცირება პროგრესული ღონისძიებაა. მან აღნიშნა, რომ დადებითი შედეგების მიღწევა შეიძლებოდა მთელ რიგ სხვა საკითხებში, მაგრამ ამას ხელი შეუშალა დანარჩენი პარტიების წინააღმდეგობამ. „თუმცა ყოველივე ამას, — თქვა შემდეგ აქსელ ლარსენმა, — ნაკლები მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციაში ახალი მე-20 მუხლის შეტანასთან შედარებით. ამ მუხლზე უხალისოდ ლაპარაკობდნენ. არა სურთ მოსახლეობამ შეიტყოს, რომ ფოლკეტინგის მიერ მიღებული საერთო კანონის საფუძველზე მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება საგარეო და საშინაო პოლიტიკის დარგში შეიძლება გადაეცეს უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებს. ეს წინადადება მეტისმეტად საშიშია და ვერ გამიგია, როგორ ბედავენ დეპუტატები მხარი დაუჭირონ მას...

ჩვენ გვსურს ასაკობრივი საარჩევნო ცენზის შემცირება 21 წლამდე, ჩვენ გვსურს ერთპალატიანი სისტემის დაწესება. მაგრამ რადგან პროექტში არის მე-20 მუხლი — სწორედ ამ მუხლის გამო მივცემთ ხმას კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ".

ამის შემდეგ მოხდა კენჭისყრა და ფოლკეტინგმა მიიღო ახალი კონსტიტუციის პროექტი. მიღებას ხმა მისცა 131 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 8 დეპუტატმა (კომუნისტებმა და კონსერვატიული პარტიის 1 დეპუტატმა).

პარლამენტის არჩევნების შემდეგ, რაც განზრახულია აპრილში მოეწყოს, ახალი რიკსდაგი კვლავ განიხილავს კონსტიტუციის პროექტს. ახალი კონსტიტუციის პროექტი საბოლოოდ უნდა დამტკიცდეს რეფერენდუმის შემდეგ, რომელიც მოეწყობა მაისის დამლევს.

## საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენცია

**პარიზი**, 4 მარტი. (საკდესი). ხვალ პარიზის გარეუბან ჟენვილიეში გაიხსნება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგშია ჟაკ დიუკლოს მოხსენება „მუშათა კლასისა და ხალხის მასების წინამძღოლის — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვისა და რეაქციის შეთქმულების ლიკვიდაციისათვის, მუშებისა და ხალხის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და ფრანგი ხალხის ნების შესაბამისად პოლიტიკურ შეცვლისათვის".

## საფრანგეთის კომუნისტური პარტია მუნიციპალური არჩევნების წინ

**პარიზი**, 5 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის ყველა დეპარტამენტში წარმატებით მიმდინარეობს სახსრების შეგროვება, რაც საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოაცხადა მომავალი მუნიციპალური არჩევნებისათვის მოსამზადებლად.

გაზეთ „ლუმანიტეს" ცნობით, უკვე შეკრებილია 3.349.960 ფრანკი. მარტო ერთ დღეს — 3 მარტს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისამართით შემოვიდა მილიონნახევარი ფრანკი, რაც შეაგროვეს სენის, სენისა და უაზის, დუს, ორნისა და ბუშ-დიურონის დეპარტამენტების მშრომელებმა.

გაზეთი იუწყება, რომ ამ კამპანიის წარმატებით შეშფოთებული ადგილობრივი ხელისუფალნი ცდილობენ ხელი შეუშალონ მშრომელებს სახსრების შეგროვებაში. კერძოდ, სენისა და უაზის დეპარტამენტის პრეფექტმა გამოსცა განკარგულება, რომლითაც კატეგორიულად აკრძალა ამ კამპანიის მოწყობა. მაგრამ, აკრძალვის მიუხედავად, დეპარტამენტის მშრომლები კვლავ აგროვებენ ფულს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დასახმარებლად. ერთ-ერთმა შემგროვებელმა, რომელიც აღნიშნული განკარგულების საფუძველზე დააპატიმრეს ქალაქ სეგრში, განაცხადა: „მე კომუნისტი არა ვარ, მაგრამ მოვალეობად მიმაჩნია დავეხმარო საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას მუნიციპალური არჩევნებისათვის მზადებაში".

## ჩინელი ხალხი მიესალმება არჩევნების კანონს

**პეკინი**, 4 მარტი. (საკდესი). ჩინელი ხალხი მიესალმება სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისა და ყველა საფეხურის სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებების არჩევნების კანონის გამოქვეყნებას.

გაზეთი „ჟენმინჟიბაო" დღეს იუწყება, თუ რა უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ არჩევნების კანონის გამოქვეყნებას შიძინშანის ქარხნის, ცენტრალური სახელმწიფო სტამბის, პეკინის ტრამვაის კომპანიისა და სხვა საწარმოების მუშები.

პეკინის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები, მასწავლებლები და სტუდენტები აგრეთვე მხურვალედ უჭერენ მხარს არჩევნების კანონს. „ეს კანონი,—თქვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა და სამართლის პეკინის ინსტიტუტის რექტორმა ძიან დუნ-შენმა, — სავსებით შეეფერება ჩინეთში არსებულ პირობებს და მთლიანად შეესაბამება ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხის მოთხოვნებს. ამ კანონის განხორციელება უფრო მეტ სტიმულს მისცემს ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკურ მშენებლობას".

კანონის გამოქვეყნებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ეროვნულ უმცირესობათა ცენტრალური ინსტიტუტის მასწავლებლები და სტუდენტები. სტუდენტმა ხუან-იუმ, იაოს ეროვნების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს კანონი განამტკიცებს ჩინეთის ყველა ეროვნების მეგობრობას და უფრო დარაზმავს მათ ცენტრალური სახალხო მთავრობის გარშემო.

ტიანძინში ფოლადმდნობელმა, შრომის გმირმა პან ჯან-იუმ, რომელიც გაეცნო არჩევნების კანონს, თქვა, რომ ამ კანონის გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩინელი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში და განსაკუთრებით ჩინელი მუშების ცხოვრებაში, რადგან მათ განთავისუფლებამდე საერთოდ არავითარი პოლიტიკური უფლება არა ჰქონიათ, რომ აღარ ვილაპარაკოთ უფლებაზე აირჩიონ და არჩეულ იქნან. ჩვენი რესპუბლიკის მუშები საყოველთაო არჩევნებს ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდებიან.

ტიანძინის სავაჭრო-სამრეწველო წრეების წარმომადგენელმა. ჯუ ძი-შენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არჩევნების კანონი იმ გამარჯვების შედეგია, რომელიც ჩინელმა ხალხმა ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლაში მოიპოვა.

გაზეთი „ჟენმინჟიბაო" მოწინავე სტატიაში დღეს წერს, რომ „არჩევნების კანონის განხორციელება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც წელს ჩინელი ხალხის წინაშე დგას".

## დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა იბრძვის ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ

**ბერლინი**, 4 მარტი. (საკდესი). ქალაქ კაიზერსლაუტერნის მშრომელებმა, მათ შორის საკერავი მანქანების ქარხნის ექვსი ათასმა მუშამ და მოსამსახურემ შექმნეს კაიზერსლაუტერნის ქარხნის მუშათა გაერთიანება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის და ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების გამგეობის მიმართ წერილით, რომლითაც პროფკავშირებს მოუწოდებენ იბრძოლონ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, გერმანიის ორივე ნაწილის გერმანელებს შორის შეთანხმების მიღწევისა და ერთიან გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის.

„ჩვენ, კაიზერსლაუტერნის სამრეწველო საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლები, — ნათქვამია წერილში, — იმ დასკვნამდე მივედით, რომ საერთო ხელშეკრულება და ხელშეკრულება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ნამდვილად დიქტატს წარმოადგენენ. საწარმოებისა და ორგანიზაციების აურაცხელი საპროტესტო განცხადება მოწმობს, რომ გერმანელმა მშრომელმა მოსახლეობამ და გერმანელი ხალხის უაღრესად ფართო ფენებმა შეიგნეს, თუ რა საფრთხეს შეიცავენ ეს ხელშეკრულებანი".

მიულჰაიმში გამართულ კონფერენციაზე ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრ ახალგაზრდა მუშათა 180 წარმომადგენელმა მიიღო გადაწყვეტილება — მოეწყოს ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული.

კონფერენციაზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ბონის ბუნდესტაგის დეპუტატებს მოუწოდებს გაილაშქრონ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა წინააღმდეგ და არ დაუშვან მისი რატიფიკაცია.

კონფერენციის მონაწილეებმა მოითხოვეს აგრეთვე დასავლეთ გერმანიის ყველა ფაშისტური ტერორისტული ორგანიზაციის დაშლა.

## მდგომარეობა ირანში

**თეირანი**, 4 მარტი. (საკდესი). გუშინ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ირანის ეროვნულმა საზოგადოებამ თეირანის მთელი მოსახლეობა მოიწვია მიტინგზე ნაშუადღევის 3 საათისათვის მეჯლისის შენობის წინ მდებარე ბაჰარისტანის მოედანზე. მაგრამ პოლიციამ და სამხედრო ხელისუფლებამ გუშინ დილაადრიან დაიკავეს ბაჰარისტანის მოედანი, ყველა მთავარ ქუჩაში და გზაჯვარედინზე დააყენეს ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ჯარისკაცებით სავსე სატვირთო ავტომანქანები და გადაღობეს ბაჰარისტანის მოედნისაკენ მიმავალი ყველა გზა. ამასთან დაკავშირებით დანიშნული მიტინგი არ გამართულა. მაგრამ თეირანში გუშინ ყველგან გაიმართა სახელდახელო მიტინგები, რომლებიც დემონსტრაციებად გადაიქცა. ორატორები იმეორებდნენ ლოზუნგებს, რომლებიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულმა საზოგადოებამ წამოაყენა ხალხისადმი 1 მარტის მიმართვაში. კერძოდ, შაჰისა და მისი კარის წინააღმდეგ მიმართულ ლოზუნგებს. ლოზუნგებს შორის იყო: „სამართალში მიცემულ იქნას და დაისაჯოს ყველა მოღალატე და 1952 წლის 21 ივლისის შეთქმულებისა და ახლანდელი შეთქმულების მონაწილე და ბოლო მოეღოს სასახლის ანტიეროვნულ ღონისძიებებს!", „შეწყდეს ნავთობის საკითხზე მოლაპარაკება ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებთან და აღიკვეთოს მათი ჩარევა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში!", „უზრუნველყოფილ იქნას დემოკრატიული თავისუფლებანი მთელ ირანში და გაუქმდეს სამხედრო წესები!", „განდევნილ იქნან ამერიკელი ჯაშუშები და დაიხუროს ჯაშუშური ორგანიზაციები მთელ ჩვენს ქვეყანაში!".

ზოგან პოლიციამ სროლა ატეხა. როგორც გაზეთი „დადი" იუწყება, გუშინდელი დემონსტრაციების დროს დაიჭრა 50 კაცი, 150 კაცი დააპატიმრეს.

თეირანის გაზეთების ცნობით, გუშინ მეჯლისის სხდომაზე უნდა გამართულიყო კენჭისყრა მოსადეკის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხზე. მაგრამ დილით დეპუტატებს აცნობეს, რომ მეჯლისის თავმჯდომარის ქაშანის განკარგულებით სხდომა არ გაიმართებოდა.

თეირანში სიმშვიდე ჩამოვარდა. სავაჭრო საწარმოები გაიღო.

**თეირანი**, 4 მარტი. (საკდესი). როგორც 3 მარტის საღამოს გაზეთები აღნიშნავდნენ, თეირანში უკანასკნელი 2 დღის მანძილზე მთავრობამ დააპატიმრა ყოფილი მინისტრები — ჯემალი, ემამი, ფორუჰარი; გენერლები — შაჰბახტი, გილან-შაჰი, მოაენი, ამირ ალაიი. რამდენიმე პოლკოვნიკი და მაიორი, პარტია „არიის" ლიდერი სეფეჰრი, გაზეთ „დადის" რედაქტორი ამიდი ნური; გაზეთ „სიასატის" რედაქტორი მობაენი, გაზეთ „სედაე ვათანის" რედაქტორი ბეშარათი და ზოგი სხვა პოლიტიკური მოღვაწე.

პოლიციამ და სამხედრო საგუბერნატოროს ხელისუფლებამ ქუჩებში დააპატიმრეს აგრეთვე შაჰის წინააღმდეგ მოწყობილი დემონსტრაციებისა და მიტინგების ბევრი მონაწილე.

## ბავშვებით ვაჭრობა კანადაში

**ოტავა**, 4 მარტი. (საკდესი). კანადაში ყველა ქალს როდი შეუძლია გახდეს დედა. ბევრს არა აქვს საშუალება არა მარტო ბავშვის აღსაზრდელად, არამედ იმისათვის, რომ მშობიარობის გადასახადი გადაიხადოს სავადმყოფოში. ბიზნესმენები ჯიბეს ისქელებენ დედების მწუხარებითაც. იყენებენ რა ქალების მძიმე მდგომარეობას, ისინი აიძულებენ დედებს, განსაკუთრებით მარტოხელა დედებს, გაყიდონ ახალშობილი ბავშვები ზოგჯერ ისეთ ფასად, რომელიც არ აღემატება სავადმყოფოში მშობიარობის გადასახადს. ასეთ შემთხვევებზე ზოგჯერ წერს თვით კანადის პრესაც.

24 თებერვალს ტორონტოს აეროპორტში დააკავეს ცოლ-ქმარი შინდერები — ნიუ-იორკის მცხოვრებნი, რომელთაც კალათში აღმოუჩინეს მძინარე ოთხი დღის ბავშვი. გამოირკვა, რომ შინდერმა ექიმის დახმარებით იყიდა ბავშვი მშობიარე ქალისაგან, რომელმაც ვერ შეძლო საავადმყოფოში საწოლის ქირის გადახდა.

გაზეთმა „ტორონტო სტარმა" 28 თებერვალს გამოაქვეყნა პოლიციის წარმომადგენლის განცხადება. რომ ტორონტოსა და ნიუ-იორკს შორის მოქმედებენ ამერიკის ბავშვებით ვაჭრობის გაერთიანების აგენტები. პოლიციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში სულ ცოტა 20 ახალშობილი წაიყვანეს კანადიდან და გაყიდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ფიქრობენ, რომ ამერიკის ბავშვებით ვაჭრობის ამ გაერთიანების აგენტები კანადაში ბავშვებს ყიდულობენ თვითეულს 250 დოლარად და შეერთებულ შტატებში ყიდიან მათ თვითეულს 2 ათას დოლარად. პოლიციას ეჭვი აქვს, რომ შინდერი ამ გაერთიანების აგენტია.

## „ამერიკული ცხოვრების წესი"

### შარლატანები მკურნალთა ნიღბით

**ნიუ-იორკი**, 4 მარტი. (საკდესი). როგორც ცნობილია, ამერიკის სამრეწველო კორპორაციები ფართოდ იყენებენ რადიოსა და ტელევიზიას თავიანთი პროდუქციის რეკლამირებისათვის. ეს მათ საშუალებას აძლევს მთლიანად დაუმორჩილონ თავიანთ კონტროლსა და გავლენას რადიოკომპანიები და ტელევიზიის კომპანიები, რომლებსაც ისინი ყოველწლიურად მილიონობით დოლარს უხდიან რეკლამის გასაწევად სპეციალური დროის გამოყოფისათვის.

ამას წინათ გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი" იუწყებოდა სირაკუზელი დიდი კომერსანტის ლოურენს ჯონსონის შესახებ, რომელსაც ბაკალეის 4 კოლოსალური მაღაზია აქვს სირაკუზში, აქვს აგრეთვე „გიგანტური ბაზრები", სადაც ჰყიდება სურსათი, თამბაქოს, საპნისა და სხვა უდიდესი ფირმების საქონელი. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ეს ჯონსონი ფაქტიურად სრულუფლებიანი ბატონია ყველა რადიოკომპანიისა და სატელევიზიო კომპანიისა, რომლებიც რეკლამას უკეთებენ მის საქონელს. ჯონსონმა, რომელიც აწესებს რადიოკომპანიებში და სატელევიზიო კომპანიებში სამუშაოზე მიღების პირობებს, შეადგინა სია 100 პროგრესული მსახიობისა, ვისი გამოსვლებიც გადაცემებში სასურველი არ არის ჯონსონისა და იმ ფირმებისათვის, რომლებსაც იგი ემსახურება.

როგორც ამას წინათ ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყებოდა, „ამერიკენ ბროდკასტინგ კომპანიმ" მოხსნა გადაცემა ზიგმუნდ მილერის პიესისა „ნათელი დღე", სადაც მოთხრობილია ამბავი ფარმაცევტული კომპანიის პრეზიდენტისა, რომელმაც აღმოაჩინა, რომ მისი ფირმის მიერ გამოშვებულმა ერთ-ერთმა საეჭვო წამალმა, რომელსაც ფართო რეკლამას უკეთებდნენ, მოკლა ბავშვი.

კარგად ცნობილმა ამერიკელმა დრამატურგებმა ჰოვარდ ლინდსეიმ და რასელ კრაუზმა, რომლებმაც ეს პიესა ტელევიზიის გადაცემისათვის დაამუშავეს, უთხრეს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტს, რომ გადაწყვეტილება დასახული გადაცემის მოხსნის შესახებ მოულოდნელი ამბავი არ ყოფილა მათთვის. „თუმცა არის ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ასეთი ამბები ხდება", განაცხადეს მათ, მაგრამ შეიძლებოდა ეჭვი არ შეგვეტანა, რომ გადაცემა შეაშინებს რადიოკომპანიებსა და სატელევიზიო კომპანიებს, რომლებიც რეკლამას უკეთებენ წამლებს, რადგან იგი „უეჭველია არ ესიამოვნებათ ფარმაცევტული ფირმების მეპატრონეებს".

იმ კომპანიებს, რომლებიც რეკლამისათვის ფართოდ იყენებენ „ამერიკენ ბროდკასტინგ კომპანის", ეკუთვნის „დოლცინის" ფირმა, რომლის პატენტიან საშუალებებსაც ყოველდღიურად უკეთებენ რეკლამას, როგორც ართრიტისა და რევმატიზმის მოსარჩენ საშუალებებს. თუმცა ფედერალური სავაჭრო კომისია იძულებული იყო ანალიზების საფუძველზე ეღიარებინა, რომ „დოლცინის" ფირმის საეჭვო წამლები არ შეიცავს არც ერთ გრან ნივთიერებას, რომელიც ართრიტისა და რევმატიზმს არჩენდეს, მაგრამ რადიოკომპანიები და სატელევიზიო კომპანიები კვლავ მცვირალა რეკლამას უკეთებენ მის პატენტიან საშუალებებს, ამავე დროს კრინტსაც არ ძრავენ უოველივე იმის შესახებ, რასაც, „ამერიკენ ბროდკასტინგ კომპანის" წარმომადგენლის სიტყვით, „შეუძლია შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს არაკეთილხარისხოვანი წამლები გავრცელებული რამ იყოს".

ფარმაცევტული ფირმები, რომლებიც უხვად უშვებენ ყოველგვარ წამალს, პატენტიან საშუალებებს, მათ შორის სხვადასხვა შარლატანურ საეჭვო წამალს, რომლებიც არა თუ არჩენს, არამედ ზოგჯერ კიდეცაც ასახიჩრებს ადამიანს, აგრეთვე ფართოდ სარგებლობენ რეკლამისათვის რადიოს და ტელევიზიის სამსახურით. ამის მოხებით ისინი ხდებიან რადიოს და ტელევიზიის „ბატონ-პატრონები", რაც საშუალებას აძლევს მათ შეასრულონ ნამდვილი ცენზორის როლი და რადიოკომპანიებსა და სატელევიზიო კომპანიებს უკარნახონ სხვადასხვა გადაცემის ხასიათი და შინაარსი, აკრძალონ და მოხსნან მათთვის არასასურველი გადაცემები, რომლებსაც შეუძლიათ ასე თუ ისე ზიანი მიაყენონ დიდ ბიზნესს.

## საომარი მზადება დასავლეთ გერმანიაში

**ბერლინი**, 5 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „დერ მორგენმა" მოათავსა თავისი ბონელი კორესპონდენტის ცნობა, რომელიც მოწმობს, რომ, ბლანკის უწყების (რომელიც არსებითად ბონის სამხედრო სამინისტროა. — რედ.) მონაცემებით, სამხედრო „საერთო ხელშეკრულებისა" და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის შემთხვევაში დასავლეთ გერმანიაში სამხედრო მშენებლობაზე ყოველწლიურად უნდა დაიხარჯოს 10 მილიარდამდე მარკა.

ცნობაში აღნიშნულია, რომ დასავლეთ გერმანიის სამხედრო შენაერთების დასაბინავებლად გათვალისწინებულია დაახლოებით 500 ახალი ყაზარმის აგება. დასავლეთ გერმანიის სამხედრო შენაერთების შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები შეადგენს 6-7 მილიარდ მარკას, რაც დამატებით უნდა გადახდეს დასავლეთგერმანელ გადასახადის გადამხდელებს. ეს დამატება ეგრეთწოდებული „თავდაცვითი წვლილისა" და საოკუპაციო ხარჯების არსებულ მძიმე ტვირთს.

„ბლანკის უწყებას" განზრახული აქვს მილიარდიანი თანხები დახარჯოს აეროდრომების, სტრატეგიული გზებისა და რკინიგზის ხაზების, სამხედრო საწვრთნელი მოედნებისა და პოლიგონების მშენებლობისათვის. სამხედრო მშენებლობის ეს გეგმები მჭიდროდ დაკავშირებულია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მთავარი შტაბის სტრატეგიულ გეგმებთან.

## ბირმის ჯარების შეტევა ჩან კაი-შის ბანდების წინააღმდეგ ბირმაში

**ლონდონი**, 4 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს მიერ კესი მანსიმიდან (ჩრდილოეთი ბირმა) გადმოცემულ ცნობაშია აღნიშნული, ბირმის არმიამ დიდი შეტევა დაიწყო ჩან კაი-შის ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებენ მონგ-სუს სამთავროში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ბირმაში, ჩინეთის საზღვრის მახლობლად. შეტევა წარმოებს სამი მხრიდან 5 ათასი გომინდანელის წინააღმდეგ.

ჩინეთის ტერიტორიიდან განდევნილმა ჩანკაიშისტებმა გასული წლის დეკემბერში დაიკავეს მონგ-სუ და განდევნეს ამ სამთავროს მმართველი.

როგორც იუწყებიან, ოპერაციების პირველ სტადიაში ბირმის ჯარებმა მოსპეს 100 გომინდანელი და დაჭრეს 73.

ბირმის არმიის წარმომადგენლებმა გუშინ განაცხადეს, რომ ოპერაცია გაფართოვდება აღმოსავლეთით და დასავლეთით და გავრცელდება 350 მილ ფრონტზე მიტკინიდან ჩრდილოეთისაკენ კენგ-ტუნგამდე, ბირმის, ჩინეთის, სიამისა და ინდო-ჩინეთის საზღვრების შესაყარის მახლობლად.

**ლონდონი**, 4 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო რანგუნიდან იუწყება. რომ როგორც ბირმის არმიის წრეებში აცხადებენ, ჩანკაიშელმა „გენერალმა" ლი მიმ ბირმაში ჩამოიყვანა „ფორმოზაზე ახლად შედგენილი" რაზმები.

## „ამერიკელო იმპერიალისტებო, წაეთრიეთ აზიიდან!"

### დემონსტრაციები კალკუტაში

**დელი**, 4 მარტი. (საკდესი). ინდოელი ხალხი მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკის სამხედრო ხომალდების კალკუტის ნავსადგურში ყოფნის წინააღმდეგ. როგორც პრესა იუწყებოდა, ამერიკის ოთხი სასეკადრო ნაღმოსანი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ შეერთებული შტატების აგრესიულ ომში კორეაში, მოვიდა კალკუტის ნავსადგურში და საწვავის მიღების შემდეგ კვლავ დაბრუნდება საომარი მოქმედების რაიონში.

კალკუტის მოსახლეობამ მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები მოაწყო კალკუტის ნავსადგურში ამერიკის სამხედრო ხომალდების მოსვლის წინააღმდეგ. ლოზუნგებით „ამერიკის ნაღმოსნებო, წაეთრიეთ კალკუტიდან!", „ამერიკელო იმპერიალისტებო, წაეთრიეთ აზიიდან!", „შეწყვიტეთ ომი კორეაში!", „ძირს ომი. ჩვენ გვსურს მშვიდობა!" ათასობით დემონსტრანტი გაემართა ნავსადგურისაკენ, სადაც ამერიკის ხომალდები იდგნენ.

კალკუტის ცენტრალურ მოედანზე და ქალაქის სხვა ნაწილებში გაიმართა მასობრივი საპროტესტო მიტინგები კალკუტის ნავსადგურში ამერიკის სამხედრო ხომალდების ყოფნის წინააღმდეგ და ამერიკელ მეზღვაურთა ხულიგნური საქციელის წინააღმდეგ, რომლებიც ქალებს შეურაცხყოფენ და დებოშს აწყობენ ქალაქის ქუჩებში.

## იტალიელ მშრომელთა ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის

**რომი**, 4 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, ფლორენციის მეტალურგიული ქარხანა „პინიონეს" მუშებმა მოაწყეს 24 საათის გაფიცვა ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ ჩაიშალა მეწარმეებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის გამართული მოლაპარაკება დასათხოვნი მუშების რიცხვის შემცირების შესახებ.

ლივორნოს პროვინციის მეტალურგები გაფიცული იყვნენ ორი საათის განმავლობაში ნიშნად სოლიდარობისა „პიომბინოს" ქარხნების მშრომელებთან, რომლებიც იბრძვიან აგრეთვე მეწარმეთა მიერ დათხოვნისა და რეპრესიების წინააღმდეგ.

**რომი**, 4 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „პაეზე სერა" იუწყება, გუშინ გაიმართა რომის ტრამვაის საზოგადოებების: „ატაკის", „სტეფერის" და „რომა-ნორდის" მუშათა და მოსამსახურეთა ორი საათის გაფიცვა. გაფიცვამ, რომელიც ხელფასის გადიდების მოთხოვნის მხარდასაჭერად გამოცხადდა, თითქმის მთლიანად შეაჩერა ტრამვაის მოძრაობა.

## იაპონელ მუშათა საგაფიცვო ბრძოლა

**პეკინი**, 4 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ 20 თებერვალს იაპონიის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ გადაწყვიტა მოაწყოს 14 მარტს მუშათა მიტინგები, რითაც აღინიშნება დასაწყისი საპროტესტო კამპანიისა გაფიცვების აკრძალვის კანონპროექტის წინააღმდეგ. ეს კანონპროექტი იოსიდას მთავრობამ განსახილველად შეიტანა იაპონიის პარლამენტში.

ელექტრომრეწველობის მუშათა ეროვნული კავშირი და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ეროვნული ფედერაცია ემზადებიან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ამ ანტიმუშური კანონპროექტის წინააღმდეგ.

იაპონიის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ, რომელიც თავის რიგებში 3 მილიონ წევრს ითვლის, გადაწყვიტა გააძლიეროს ბრძოლა ხელფასის გადიდებისათვის. იაპონიის კერძო რკინიგზების მუშათა პროფკავშირების ფედერაცია და იაპონიის მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ფედერაცია აგრეთვე მოითხოვენ ხელფასის გადიდებას.

## ფრანგი კოლონიზატორები აძლიერებენ ვიეტნამელი ხალხის ძარცვას

**პეკინი**, 3 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტო, იმოწმებს რა ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობას, იუწყება, რომ ფრანგი კოლონიზატორები და მათი ბაოდაელი ლაქიები ბრინჯს ართმევენ მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ვიეტნამელებს. კიენანის პროვინციაში და სხვა ოკუპირებულ რაიონებში ფრანგმა კოლონიზატორებმა ბრუნვაში გამოუშვეს ახალი ბანკნოტების სერია და აიძულებენ ხალხს ამ ბანკნოტებზე გაყიდონ ბრინჯი.

ძარცვის ეს მეთოდი, რომელიც ნასესხებია იაპონელი ოკუპანტების პრაქტიკიდან, აღნიშნავს სააგენტო, იწვევს ბრინჯის ფასების ახალ ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომ დაცემას.

## კორეის ამბები

### სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 4 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები თავდაცვით ბრძოლებს ეწევიან ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 2 თვითმფრინავი.

## ამერიკელი აგრესორები განაგრძობენ მხეცობას სამხედრო ტყვეთა ბანაკებში

**პარიზი**, 4 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, იქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 1 მარტს კუნძულ კოჯედოზე სამხედრო ტყვეთა ბანაკის ამერიკელთა მცველი რაზმის ჯარისკაცმა მოკლა ჩრდილოეთკორეელი სამხედრო ტყვე. განცხადებაში ნათქვამია, რომ „სამხედრო ტყვე მოკლულ იქნა, რადგან დალამების შემდეგ სექტორის ტერიტორიაზე დაიარებოდა..."

## ამერიკელ ინტერვენტთა დანაშაულობანი კუნძულ კოჯედოზე სამხედრო ტყვეების ბანაკში

**პარიზი**, 4 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ტოკიოდან იუწყება, ამერიკის სარდლობამ კორეაში განაცხადა, რომ 2 მარტს ბანაკში კუნძულ კოჯედოზე მოკლულ იქნა ორი და დაიჭრა 8 სამხედრო ტყვე. ამერიკის სარდლობა ამტკიცებს, რომ ეს სამხედრო ტყვეები თითქოს „მათმა ამხანაგებმა" მოკლეს და დაჭრეს.

## ამერიკელმა ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს მოლაპარაკების რაიონს პანმინჯონში

**პეკინი**, 4 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი 4 მარტს კესონიდან იუწყებოდა:

2 მარტს დილის ორ და სამ საათს შუა რამდენიმე ათეულმა ამერიკელმა ჯარისკაცმა ტყვიამფრქვევი დაუშინა მოლაპარაკების რაიონს პანმინჯონში. ეს მოლაპარაკების რაიონის შესახებ არსებული შეთანხმების ახალი აღმაშფოთებელი დარღვევაა.

იმავე დღეს ორივე მხარის დაცვის ოფიცრებმა ერთად მოაწყეს დაწვრილებით გამოკვლევა, რაც 4 საათს გაგრძელდა. მამხილებელი საბუთებით და მოწმეთა ჩვენებით სავსებით დადასტურდა, რომ ამ პროვოკაციისათვის მთელი პასუხისმგებლობა ამერიკელებს ეკისრებათ. გამოკვლევის შედეგები ადასტურებენ, რომ ეს ინციდენტი ამერიკელთა ახალი ნაბიჯია მოლაპარაკების რაიონის უშიშროებისათვის ძირის გამოსათხრელად.

უნდა გავიხსენოთ, რომ 10 თებერვალს ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები შეიჭრნენ პანმინჯონის მოლაპარაკების რაიონში და ცეცხლი წაუკიდეს სახლს. 12 თებერვალს ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა მოლაპარაკების რაიონში დაჭრეს კორეისა და ჩინეთის მხარის პოლიციელი.

ამერიკის მხარეს დღემდე არ მიუცია რაიმე ახსნა-განმარტება ამ ორი ინციდენტის გამო. პირიქით, ამერიკელებმა ახალი კიდევ უფრო დიდი პროვოკაცია მოაწყეს.

მეთვალყურეები აქ აღნიშნავენ, რომ ამერიკელთა ამ შეუწყვეტელი პროვოკაციების მიზანია შეუძლებელი გახდეს კონფერენციის რაიონის უშიშროების შენარჩუნება და სავსებით ჩაიშალოს მოლაპარაკება დაზავებაზე.

## თავდასხმა ავსტრიის კომუნისტური გაზეთის რედაქციაზე

**ვენა**, 4 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე" იუწყება, 1 მარტს ღამით თავს დაესხნენ კომუნისტური გაზეთის „ნოიე ტაგეს-ცაიტუნგის" რედაქციას. ეს გაზეთი გამოდის ბრეგენცში (ფორარლბერგში). რედაქციიდან წაიღეს მრავალი დოკუმენტი და სტატია.

## საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური

ამ დღეებში სოფელ საქობიოს (ვანის რაიონი) კოლმეურნეებმა მდინარე ... დაამთავრა ახალი სასოფლო ელექტროსადგურის მშენებლობა. უახლოეს დღეებში ელექტროენერგიას მიიღებენ სოფელ სალხინოს, დიხაშხოსა და ქვედა ბზვანის კოლმეურნეობები. ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნდება კოლმეურნეთა ბინები.

წლის მეორე ნახევარში რაიონის საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაციის სამუშაოები კიდევ უფრო გაძლიერდება.

გაზეთი „სტალინელი".

## ახალი მუზეუმები

რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება კულტურულ დაწესებულებათა რიცხვი. მალე დამთავრდება ბათუმის ახალი მუზეუმის ორსართულიანი ლამაზი შენობა.

კულტურის სახლის ორსართულიან შენობას აგებენ ცაგერში. მისი დარბაზი 350 მაყურებელს დაიტევს. კულტურის სახლის შენებლობა დაწყებულია აგრეთვე ყაზბეგში. შენობა სამსართულიანი იქნება. მისი დარბაზი 350 მაყურებელს დაიტევს. აქ მოეწყობა ფიზკულტურისა და სალექციო დარბაზები.

## სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი 6 და 7 მარტს აკადემიის სხდომათა დარბაზში აწყობს სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ი. ბ. სტალინის შრომისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში".

## დინამოელ ფეხბურთელთა გამგზავრება

3 მარტს თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი ლესელიძეს გაემგზავრა. დინამოელები ენერგიულად ემზადებიან ფეხბურთის ახალი სეზონისათვის, მომავალი პასუხსაგები შეხვედრებისათვის; გუნდში შეყვანილია ახალგაზრდა სპორტსმენები. 1953 წლის სეზონში დინამოელმა ფეხბურთელებმა გუნდის კაპიტნად აირჩიეს სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ღოღობერიძე.

დინამოელები ლესელიძეში ერთ თვეს დაჰყოფენ. აქ ისინი გაივლიან წვრთნას, მოაწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს. გუნდის უფროსად დანიშნულია სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე.

## ქარხნის მუშების მომსახურებისათვის

ამ დღეებში ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანამ მიიღო 20-ადგილიანი ახალი ავტობუსი, რომელიც მოძრაობს ქალაქსა და ქარხანას შორის. ქარხანამ მიიღო აგრეთვე 2 ავტომანქანა ქარხნის იმ მუშა-მოსამსახურეთა საჭიროებისათვის, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ.

გაზეთი „ლენინელი".

## სასპორტო სეზონის გახსნა აჭარაში

1 მარტს აჭარის სპორტსმენები საზეიმო სასპორტო სეზონის გახსნას მოემზადნენ შეხვდნენ. 12 გუნდი მონაწილეობდა მძლეოსნურ ამანათრბენში. შეჯიბრება დამთავრდა საზღვაო სასწავლებლის გუნდის გამარჯვებით. კროსი ვაჟთათვის დამთავრდა საზღვაო სასწავლებლის სპორტსმენის ა. ოკლიანსკის გამარჯვებით. ქალთა შორის კროსში პირველი ადგილი დაიკავა ბათუმის სასპორტო სკოლის წარმომადგენელმა რ. ბასტინოვამ.

ამავე დღეს ბათუმში გაიმართა აგრეთვე საკლასიფიკაციო შეხვედრები ველოსპორტში, შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში. საჩვენებელი შეჯიბრებები მოეწყო აგრეთვე ხულოსა და ქედის რაიონებში.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფიზიკის კათედრის გამგის თანამდებობაზე (პროფესორი ან დოცენტი). კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (მელიქიშვილის ქ. № 10) განცხადება და შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის, ხარისხის და წოდების მინიჭების საბუთების ნოტარიალური ასლები, საქმიანი და საზოგადოებრივი დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, შრომათა სია და თვით შრომები. ორი ფოტოსურათი. კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის განვითარებას!

1953 წლის აპრილის პირველ რიცხვებში გაიმართება საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მოგებათა მორიგი 21-ე ტირაჟი.

ყოველ ათას ანგარიშზე ტირაჟში გათამაშდება 25 მოგება, მათ შორის:

ერთი მოგება განვლილი ნახევარი წლის ანაბრის საშუალო ნაშთის 200 პროცენტის ოდენობით, ორი მოგება თითო 100 პროცენტის და ოცდაორი მოგება თითო 50 პროცენტის ოდენობით

რაც უფრო დიდია ანაბრების თანხა და რაც უფრო მეტი ხნით ინახება შემნახველ სალაროში, იმდენად დიდია მოგების თანხა, მაგრამ თვითეული ანაბრის საშუალო თანხა ნახევარი წლის განმავლობაში 10.000 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს.

თუ ერთი მომგებიანი ანაბრის საშუალო თანხა ნახევარი წლის განმავლობაში 10.000 მანეთს აღემატება, მოგება გამოიანგარიშება 10.000-მანეთიანი ანაბრის თანხის მიხედვით.

მომგებიანი ანაბრების ანგარიშები, რომლებიც დახურულია ტირაჟის ჩატარებამდე, მოგებათა ტირაჟში არ მონაწილეობენ.

მომგებიან ანაბრებს იღებს ყველა შემნახველი სალარო.

ყველა მოქალაქეს შეუძლია ერთს ან რამდენიმე შემნახველ სალაროში იქონიოს მომგებიანი ანაბრების ანგარიშები განუსაზღვრელი რაოდენობით.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისადმი მინდობილი ფულადი თანხებისა და ფასეულობის შენახვა გარანტირებულია სსრ კავშირის მთავრობის მიერ.

ცნობებს მეანაბრეების, მათ მიერ შესრულებული ოპერაციებისა და ანაბრების ანგარიშების მდგომარეობის შესახებ შემნახველი სალაროები საიდუმლოდ ინახავენ.

შეიტანეთ მომგებიანი ანაბრები შემნახველ სალაროში!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03. 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-06-88, მშრომელთა წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81; გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-79.

უე 00957

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".